№ 218
შაბათი, 3 დეკემბერი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან., თვეში 1 მანათი.
რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.
დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія".
ცალკე ნომერი 3 კაპ.

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 218
შაბათი, 3 დეკემბერი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ.. წლიური განცხადება—მორიგებით.
განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.
ტელეფონი № 922.

კვირას, 4 დეკემბერს, ვეტცელის თეატრში
წაკითხულ იქნება
რეფერატი
ბ-ნ განდელის მიერ:
I
თანამედროვე საზოგადოებრივი მოძრაობა და პოლიტიკური პარტიები.
II
შალ. გოგელიასაგან.
კრიტიკა დიალექტიკის და მარქსის ეკონომიურ მონიზმისა.
ბილეთები ისყიდება „ივერიის" რედაქციაში, გრ. გოგელიასთან.
დასაწყისი საღამოს 5½ საათზე.

ტფილისის ქალაქის გამგეობა სთხოვს
ბ-ნთ სახლების პატრონთა და იმათ, ვისაც საერთო სახლების დამცველ ორგანიზაციაში მონაწილეობის მიღება სურთ, მობრძანდნენ ქალაქის გამგეობაში საქმის განსახილველად ყოველ დღე, უქმეებს გარდა, 10 დან 2 საათამდე. (2—2)

ტფილისის ქალაქის გამგეობა სთხოვს სახლების პატრონებს
გამოგზავნონ თავიანთი წარმომადგენლები—თითოეულ საპოლიციო ნაწილიდან ათ კაცამდე, რომ ამათ ქალაქის გამგეობასთან ერთად შეიმუშავონ ქალაქის თავის-დაცვის პროექტი. სხდომა დანიშნულია საბჭოს ზალაში კვირას, 4 დეკემბერს, დილის 11 საათზე.

ამ წლის 6 დეკემბრიდან გამოვა
ყოველ-დღიური სოციალ-დემოკრატიული გაზეთი
„ს ხ ი ვ ი"
ჩვენი გაზეთი კავკასიის სოც.-დემ. მუშათა ორგანიზაციების ორგანოა.
რევოლუციონურ პროლეტარიატის თავგანწირულმა ბრძოლამ თვითმპყრობელობის კედელი შეანგრია და მთელ რუსეთს სიტყვის თავისუფლება მოანიჭა. ის ახლა სარგებლობს ამ ახალი იარაღით, რომ მით კიდევ უფრო გაამაგროს თავისი პარტია, სოციალ-დემოკრატია, და მედგრათ გასწიოს წინ თავის მიზნისაკენ.
გაზ. „სხივი" წელიწადში ღირს 6 მან., თვეში—50 კაპ., თითო ცალი 3 კაპ.
რედაქციის ადრესი: გელიკოვსკაია, № 17 (ვორონცოვის ძეგლიდან მე-9 სახლი).
ხელის მოწერა მიიღება:
ტფილისში.
ვერაზე უფასო სამკითხველოში ნინო კალანდარიშვილთან. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში შიო ქუჩუკაშვილთან; ნაძალადევში უფასო სამკითხველოში მარიამ ელიავასთან. ვოკზალზე I კლასის ბუფეტში შალვა ჭანტურიშვილთან.
ტფილისს გარეთ
ადგილობრივ სოც.-დემ. მუშათა ორგანიზაციებში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція „Схиви".

ამ წლის დეკემბრიდან გამოვა ყოველ-დღიური სრულ პროგრამიანი
პატარა გაზეთი
თავისუფლება, ერთობა, ძმობა!!
დაბარება შეიძლება: ერთის წლით 3 მან., ექვსის თვით 2 მან. ცალკე ნომერი 2 კაპ.
ქუთაისში.—ბეჟანიშვილის მაღაზიაში.
ვინც ამ თავითვე დაიბარებს, დეკემბრის გაზეთი მუქთად დაურიგდებათ.
რედაქტორი პ. მირიანაშვილი.
გამომცემელი კ. მესხი.
ადრესი: Дворцовая, домъ Дворянства,
редакція „ПАТАРА ГАЗЕТИ".

ტფილისის სახაზინო თეატრი
შაბათს, 3 დეკემბერს 1904 წ.
საოპერო არტისტთა საზოგადოების მიერ წარმოდგენილი იქნება მეორედ
ჩერევიჩკი
ოპერა 4 მოქმ. და 10 სურათად, მუს. ჩაიკოვსკისა.
მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი გამანსკაია, მაშეცკაია; ბ-ნნი დონსკოი, კარელინი, სოკოლსკი, დრაგული, ჩისტიაკოვი, ვოლსკი, დემიანენკო, შეინი.
ბალეტს გამგე ბ. ბეკეფი.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
კაპელმეისტერი დ. პ. შტეინბერგი.
რეჟისორი ნ. ნ. ბოგოლიუბოვი.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
ანონსი: კვირას, 4 დეკემბერს
წარმოდგენილი იქნება
დილით „რუსლან და ლუდმილა".

საღამოზე „კარმენი"
ორშაბათს, 5 დეკემბერს, წარმოდგენილი იქნება
გეიშა
მზადდება წარმოსადგენად „კრასნოე სოლნიშკო".

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათ., საღამოთი 6—7 საათ. უორდანოვის ქუჩაზე (ვერაზე), საკუთარი სახლი № 20, ტელეფონი № 791.
ავადმყოფთათვის არის ერთი კროვატი.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
მ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. ხირურგიულ-ვენერიული და კანის ავადმყოფობისა.
ჟ. ზ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, ზაგიანისა და ნერვების ავადმყოფობისა.
ბ. ამბეტიხიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.
ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 10—11 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.
ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.
ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა.
საღამოობით:
მ. ა. ნავასარდიანი. 7—7½ საათ.
ხ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—7½ საათ.
პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი მ. ა. ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. Тел.

ტფილისის ექიმები
კბილის ექიმი
ივანე კ. ახალშენიშვილი
ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლღას ქუჩა, № 15.

გ. ხ. მუსხელიშვილი—კიროჩნის და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლღას ქუჩა, № 31.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფების ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფლორერის სახლის № 157

ვაჭაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გარინის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ. კოჩუბეის ქუჩა № 91.

ექვთიმე ვაშაკიძე ბავშვების და შინაგან ავადმყოფთ ექიმი—ელიზავეტის და კიროჩნი ქუჩების კუთხე. სახლი ბარამოვისა № 112. ავადმყოფებს იღებს ნაშუადღევის 1—2 ს. და საღამოს 5—7 საათ.

ეროვნული საკითხი და რუსეთის „პატრიოტები"

როგორც კი ჩვეულებრივი ბურჟუა სიტყვა „სოციალიზმს" გაიგონებს, მაშინვე თვალ-წინ ებლანდება ქონების გაყოფა-განაწილება, ვინაიდან ჰგონია, რომ სოციალისტები მისი დახლის გაყოფასა და ხელში განაწილებას თხოულობენ და სოციალურ საკითხის გადაწყვეტას ამგვარ „გათანასწორების" საშუალებით ცდილობენ.

ასევე ემართებათ რუსის ესრედ წოდებულ „ჭეშმარიტ რუს-პატრიოტებს", როცა სხვადასხვა არა რუს ეროვნებათა მოთხოვნილებას გაიგონებენ, როცა რომელსამე დამოკიდებულ ეროვნებას ეროვნულ თვითარსებობის გამომჟღავნებელ სურვილს შეამჩნევენ. ისინი მაშინვე გლოვა-ტირილს იწყებენ, რომ არა-რუს ერებს რუსეთის დაყოფა და ერთმანეთში განაწილება უნდათ. იწყებენ „ვინ ხარ მამაცი"-ს ყიჟინს და რუს საზოგადოებას იწვევენ შესაერთებლად და სახელმწიფოს მთლიანობის დასაცველად.

ასეთ გუნებაზე დაუყენებია, მაგალითად, „ნოვოე ვრემია" იმ კრებას, რომელიც 19—21 ნოემბერს პეტერბურგში გამართეს სხვადასხვა არა-რუს ეროვნებათა წარმომადგენლებმა. ვინ არ იცის, რომ რუსეთის სახელმწიფო, მცხოვრებთა ეროვნების მხრივ, არ წარმოადგენს ერთფეროვან და მთლიან ორგანიზმს,—მასში მრავალი სხვადასხვა ერები ცხოვრობენ, რომელთაც სურთ, რომ განახლებულ რუსეთში თავისუფლებისა და თანასწორობის პრინციპებს ისეთი ობიექტიური პირობები დაედვას საფუძვლად, რომ ის პრინციპები ცარიელ სიტყვებად არ დარჩეს და ყოველი ეროვნება მართლა — ფაქტიურად — თანასწორ უფლებიანი იქნეს. მთელი რუსეთი იბრძოდა და იბრძვის მოქალაქობრივ და პოლიტიკურ უფლებებისათვის არა იმიტომ, რომ ვითომ ამ უფლებებს მხოლოდ განყენებული თეორიული ფასი და მნიშვნელობა ჰქონდეს, არამედ იმიტომ, რომ ამ უფლებების აღიარება და სახელმწიფოს წესწყობილებაში გატარება აუცილებლად საჭიროა მთელის ხალხის, მთელის საზოგადოების კულტურულ განვითარებისათვის. და სწორედ ამ კულტურულ განვითარებას და წინმსვლელობას მოსწყდებიან ის ხალხნი, რომელნიც ეროვნებითა და ცხოვრების პირობებით განსხვავდებიან რუსის ხალხისაგან, თუ რუსეთის პოლიტიკური ცხოვრება კონკრეტულად ისე არ იქნა მოწყობილი, რომ მათ დაუბრკოლებლად შეეძლოთ სარგებლობა საზოგადოდ აღიარებულ თავისუფლებისა და თანასწორობის პრინციპებით.

ამგვარ მოსაზრებით ხელმძღვანელობს ყოველი არა-რუსი ეროვნება, რომელსაც შეგნებული აქვს თავისთვის კულტურულ განვითარების საჭიროება და რომელიც ამიტომ იცავს თავის ეროვნულ თვითარსებობას. 19—21 ნოემბერს პეტერბურგში შემდგარ კრებას სწორედ ამ საჭირ-ბოროტო საგანზე ჰქონდა მსჯელობა. როგორც მკითხველებმაც იციან, კრებამ შემდეგი რეზოლუცია შეიმუშავა:

„ადერბეიჯანელებისა, სომხებისა, ბელორუსებისა, ქართველებისა, ებრაელებისა, [illegible]სა, ლატიშებისა, ლიტველებისა, პოლონელებისა, თათრებისა, მალოროსებისა და ესტების წარმომადგენლები პეტერბურგში შევიკრიბენით, არა-რუსთა ეროვნულ მდგომარეობის შესახებ მოხსენებანი მოვისმინეთ, რუსეთის თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობა ავწონ-დავწონეთ და შემდეგი დასკვნა გამოვიყვანეთ: 1) გამანთავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც ნიადაგს ამზადებს რუსეთის იმპერიის წყობილების გამოსაცვლელად დემოკრატიულ პრინციპებზე, რუსეთის ყველა ეროვნებათა საერთო საქმეა; 2) ეს ერები დაინტერესებულნი არიან, რომ მომავალმა წყობილებამ უზრუნველჰყოს თავისუფლება მათის სულიერ და ქონებრივ განვითარებისა; 3) კრება აღიარებს, რომ შეუფერებელი და შეუძლებელია გადამეტებული ცენტრალიზაცია კანონმდებლობისა, მართვა-გამგეობისა და სახელმწიფოს სხვადასხვა ფუნქციებისა უზარმაზარ რუსეთში, სადაც ერთმანეთში გადახლართულია სხვადასხვაობა ეკონომიური, სარწმუნოებრივი და ეროვნული; 4) კრება აღიარებს, რომ სახელმწიფოს დეცენტრალიზაცია და ხალხის ბატონობა ავტონომიურ-ფედერატიულ პრინციპით რუსეთის ყველა ერთა საქმეს შეადგენს; 5) დასაცავად იმ ერებისა, რომელთაც საკუთარი ტერიტორია არა აქვთ, და იმ ერებისა, რომელნიც ამა თუ იმ ტერიტორიაზე უმცირესობას შეადგენენ, ყოველ ამა თუ იმ ტერიტორიისთვის სახელმწიფოს საერთო კონსტიტუციამ ისეთი წესწყობილება უნდა შემოიღოს, რომელიც უზრუნველ ჰყოფს უმცირესობის ინტერესებისა და ეროვნულ უფლებათა ხელუხლებლობას. ზემოდ აღნიშნულ მიზნის განსახორციელებლად კრებას საჭიროდ მიაჩნია დაარსება ეროვნებათა კავშირისა, რომელიც სხვადასხვა ეროვნებათ ერთმანეთს დაუკავშირებს და მათ ეროვნულ ინტერესებს დაიცავს".

როგორც ხედავთ, აქ სიტყვა არაა ნათქვამი სახელმწიფოსაგან განშორებაზე, არაფერია ნათქვამი იმპერიის განაწილებაზე, მაგრამ „ნოვოე ვრემიას" „პატრიოტული" გული მაინც ღელავს და ვერ ისვენებს. „რუსეთს იყოფენო", სწერს იგი, და, რასაკვირველია, არ მოსწონს, რომ დამოკიდებული ერები გაქრობას არ ფიქრობენ და ეროვნულ თვითარსებობაზე ზრუნავენ.

ყველამ, დიდი ხანია, ვიცით, თუ როგორ ესმით რუსეთის შოვინისტებს თავისუფლება და თანასწორობა; ვიცით, რომ ისინიც დღეს თანაუგრძნობენ და მომხრეობენ თავისუფლების პრინციპებს, მაგრამ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს თავისუფლება მათთვის ხელსაყრელი და გამოსადეგია. ისინი ხელად წინააღმდეგნი ხდებიან იმავე თავისუფლებისა და არ სცნობენ მას, როცა ამ სიკეთით სხვა ხალხნიც დააპირებენ სარგებლობას.

ყველა ეს ძველი ამბავია, და თუ ჩვენ დღეს „ნოვოე ვრემიას" წერილს მაინც ვეხებით,—ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ამ წერილში რამდენიმე „კომპლიმენტია" სომხების მიმართ გამოსროლილი და სომხის ბურჟუაზიის პოლიტიკური ტაქტიკა დიდის ქებითაა მოხსენებული. ჩვენ გვინდა ქართველ მკითხველებსაც გავაგებინოთ ეს „ნოვოე ვრემიას" ქება და კომპლიმენტები.

„პირველი კრება, შემდგარი რუსეთის დასაყოფად, უკვე დასრულდა,—სწერს სუვორინის გაზეთი.—სისწორით ჯერ კიდევ არაა გავლებული საზღვრები იმ ნაწილებისა, რომლებადაც უნდა დაჰყონ მთელი რუსეთი. ამ საკითხის გადაწყვეტა გადასდეს მეორე კრებამდის, რომელიც მოსკოვში უნდა მოხდეს. მაგრამ ახლაც საკმაოდ გამორკვეულია, რომ კავკასიას გაინაწილებენ ქართველები და თათრები, ხოლო სომხებს უტოვებენ განყენებულ უფლებას „ეროვნულ თვითგამორკვევისას", მაგრამ არავითარ განსაზღვრულ ტერიტორიას მათ არ აძლევენ. რასაკვირველია, ქართველებისა და თათრებისაგან სომხები არავითარ სიკეთეს არ მოელოდნენ, მაგრამ ასეთი შედეგი კრებისა, რომელზედაც სომხების წარმომადგენლებიც იყვნენ, განსაკუთრებით უკიდურეს სოციალისტურ პარტიებიდან (?),—მათ მაინც არ ეამათ და ამიტომ ისინი გადაექანენ იმათ მხარეზე, რომელნიც წინააღმდეგნი არიან ავტონომიებისა,—ყოველ შემთხვევაში, წინააღმდეგნი კავკასიის ავტონომიებისა. ვინც როგორც უნდა უცქეროდეს სომხებს, ერთი რამ ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ სომხის ერი ჭკვიანი და პრაქტიკული ხალხია. უკანასკნელ დროს მათზე დიდი ეჭვი შეჰქონდათ, რომ იმათ სეპარატისტული მისწრაფება აქვთ და რუსეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ კონსპირატიულად მოქმედებენო. მაგრამ დრომ და გარემოებამ მაინც თავისი გაიტანა. სისხლით შეღებილმა ბრძოლამ თათრებთან, რომელიც ჯერ კიდევ არ არის გათავებული, ნათლად დაანახვა სომხებს ის ბედი, რომელიც მათ მოელით კავკასიაში რუსეთის სახელმწიფო ძალის შესუსტებისაგან. ამგვარ ძალის არსებობა შეუძლებელია კავკასიაში, თუ იქ ავტონომიები იქნა შემოღებული, და ამიტომ დღეს რუსეთის იმპერიის ყველა არა-რუს ეროვნებათაგან მარტო სომხები,—ანუ, ყოველ შემთხვევაში, მათი ბურჟუაზია, რომელიც მეტად ძლიერია,—ავტონომიაში არ ხედვენ თავისთვის არაფერს მიმზიდველს და მისი მოპოებისთვის თავსაც არ გაიტეხენ... დეკემბერში ტფილისში აპირობენ სომხებთა კრების გამართვას. ალბად, ამ კრებაზე ორი პარტია შესდგება: სომხის ბურჟუაზიისა და სომეხ სოციალისტთა. პირველს—უნდა ვიფიქროთ,—მიემხრობა სამღვდელოება და მასთან ერთად დიდი ნაწილი სომხის ხალხისა—სოფლის მცხოვრებთა".

„ნოვოე ვრემიას" ავიწყდებოდა, რომ რუსეთის „ძლიერმა სახელმწიფო ძალამ" ვერ იხსნა ჩვენი მხარე სისხლის ღვრისაგან, მას ავიწყდება, რომ...

მაგრამ ჩვენ აქ არ გვაინტერესებს, თუ რა ავიწყდება „ნოვოე ვრემიას". ჩვენთვის უფრო საინტერესოა, თუ რას იტყვის ადგილობრივი სომხური პრესსა აქ აღძრულ საკითხზე და რამდენად დაეთანხმება იგი სუვორინის გაზეთის კომენტარიებს...

მოვიცადოთ,—ვნახავთ...

დავეხმაროთ მთავრობის მსხვერპლთ!

ტფილისში ატეხილმა ხოცვა-ჟლეტამ ნათლად დაგვანახვა, რომ „კულტურული" ხალხი არა ნაკლებ აწიოკებს, არბევს და ხოცავს, ვიდრე მეორე უკულტუროდ და ველურად დასახული მხარე. ეს მხოლოდ საერთო მოვლენის გამომჟღავნებაა. ბურჟუაზიული კულტურა, დამყარებული შეუწყვეტელ ქიშპობასა, მეტოქობასა და მოტყუებაზე, ნაკლებ უწყობს ხელს ადამიანურ გრძნობის გაღვიძებას, მოძმე-მეზობლის შეთვისებას. პირიქით, ბურჟუაზიულ საზოგადოების პრინციპია: ადამიანი ადამიანისთვის მგელი იაო. რასაკვირველია, ასეთ ატმოსფერაში სამართლიანობის გრძნობა ძნელად განვითარდება და ჭეშმარიტების სიყვარული სასურველის ზომით ვერ გაღვივდება.

მიუხედავად ამგვარ დამაბრკოლებელ, სოციალურ წყობილებისა, დღეს მაინც საკმაოდ ძლიერია ჭეშმარიტების მოყვარული და მიმდევარი კლასი, და იგი შესძლებს აღმოაჩინოს სინამდვილე. ეს მეტად სანუგეშო მოვლენაა, რადგან ამ კლასის არსებობა იმედს გვაძლევს, რომ ფრთები შეეკვეცება იმათ ოინბაზობას, ვინც ცდილობს ადამიანთა ხოცვა-ჟლეტა, მტრობა და ქიშპობა გააღვივოს და ამით მოქალაქობრივ ცხოვრებას საძირკველი გამოუთხაროს.

გულის ტკივილით უნდა აღვნიშნოთ, რომ ტფილისში ატეხილმა ხოცვა ჟლეტამ იმსხვერპლა არა წამქეზებელნი, არა სხვადასხვა სახის ექსპლოატატორები, ხალხის გამყვლეფნი, არამედ უბრალო ხალხი, თავისის მარჯვენით მცხოვრები. და ეს ხომ ყველასთვის ცხადია, რომ დღიური მუშა,—ერთ დღესაც რომ არ დაურჩეს სამუშაო,—განსაცდელში ვარდება და შიმშილის კერძად ხდება. უბრალო ხალხი ბურჟუაზიის შოვინისტურ ჟინის მსხვერპლი გახდა. ბევრი დაჟლიტეს და მათი ცოლ-შვილნი, მუშის მარჯვენის შემაცქერალნი, უნუგეშოდ დარჩნენ. ბევრი დაიჭრა, ბევრმა საქმე სრულიად დაჰკარგა. ამ მხრივ განსაკუთრებულ უნუგეშო მდგომარეობაში არიან თათრები. ყოველ ეჭვს გარეშეა, ტფილისში უმეტესად ისინი დაზარალდნენ. ამასთან მათ არა აქვთ არავითარი ორგანიზაცია, რომ შესძლონ ერთმანეთს შესაფერი დახმარება გაუწიონ. ამიტომაც აუცილებლად საჭიროა, რომ მათ საზოგადოებამ აღმოუჩინოს დახმარება. „ცნ. ფურცელში" კი ვკითხულობთ: „ექიმ შჩერბინინისამ ტფ. ქალაქს გამგეობას რამდენჯერმე სთხოვა პური, ფული და სხვა სანოვაგე თათრის უბანში დაჭრილ თათრებისათვის. ექიმი ატყობინებს, ეს დაჭრილნი შიმშილსა და გაჭირვებაში არიანო. გამგეობას მშიერთათვის **მხოლოდ 25 მან.** გადაუდევია".

რას ნიშნავს ეს? ნუ თუ ქალაქის გამგეობამ მეტი ვერ გაიმეტა გაჭირვებულთათვის?

ბ.

კახეთის რკინის გზა

(გ. რცხილაძის მოხსენებიდან)

აგერ ას წელიწადზე მეტია, რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა, მაგრამ ამოდენა ხნის განმავლობაში კახეთს ძალიან მცირედ დაეტყო კულტურული და ეკონომიური წარმატება. ასი წლის განმავლობაში რუსეთის მთავრობამ კახეთში გაიყვანა ერთი შარა გზა, დააარსა ორი სამოქალაქო, ერთი სასულიერო და რამდენიმე პირველ-დაწყებითი სასწავლებელი, რომელთაც ხალხისთვის სახეირო არაფერი გაუკეთებიათ; ეს არის კახეთში რუსეთის ბიუროკრატიის ნაშრომი ასის წლის განმავლობაში.

მისვლა-მოსვლა კახეთიდან კავკასიის შუაგულამდის—ტფილისამდის—ადამ და ევას დროის [illegible] სულ 100 ვერსია და ამ მანძილს ურემი ორ კვირას უნდება, ფურგონი—8—9 დღეს და ამ გზის გავლა ღირს 30 მანათი. კახეთის მცხოვრებთა სამს მეოთხედს, სიძვირისა და უგზოობის გამო, თავიანთი დედა ქალაქი—ტფილისი—არც კი უნახავთ. მეაბრეშუმეობა, მეფუტკრეობა და მებოსტნეობა კახეთში ასი წლის წინად უფრო განვითარებული იყო, ვიდრე ახლა. საქონლის მოვლა-მოშენება, ხვნა-თესვა და მეღვინეობა თითქმის იმავე დონეზე სდგას, რომელზედაც ასი წლის წინად იდგა. ვაჭრობა მრეწველობისა და რაციონალურ მეურნეობის შეჩერებას თან მოჰყვა მცხოვრებთა ძალიან მცირე გამრავლება, რაიცა სახელმწიფოსთვის დიდად მაზარალებელია.

მას შემდეგ, რაც ტფილისი შავ ზღვას რკინის გზით შეუერთეს, კახეთი უარესად დაეცა ეკონომიურად, რადგან ამ გზამ ტფილისს მეტად დაუახლოვა ქართლი, იმერეთი, ყირიმი, სამხრეთ-რუსეთი და ამით კახეთი ზემოხსენებულ ქვეყნებთან კონკურენციას სავსებით ჩამოაცალა. რკინის გზამ და ზღვამ სამხრეთ რუსეთიდან ტფილისამდის საქონლის ჩამოტანა უფრო იაფი გახადა, ვიდრე კახეთიდან იმავე ტფილისამდის. რაკი სამხრეთ რუსეთიდან ჩამოტანილი საქონელი ტფილისში უფრო იაფია, ვიდრე იმავე ხარისხის საქონელი კახეთიდან ჩამოტანილი,—რადგან ამ საქონლის ჩამოტანა სამხრეთ რუსეთიდან უფრო იაფად ჯდება, ვიდრე კახეთიდან,—ცხადია, რომ კახეთის საქონელი გასავალს ვერ პოულობს არა თუ რუსეთში, არამედ ტფილისშიაც კი. ხოლო მას შემდეგ, რაც ტფილისი რკინის გზით შეუერთეს განჯასა და ბაქოს, კახეთის საქმე უფრო ცუდად წავიდა, და მისი მეურნეობა უფრო და უფრო დაქვეითდა. ამას ის მოჰყვა შედეგად, რომ კახეთს მყიდველი აღარ ეტანება, რადგან საქონლის გატანა კახეთიდან მეტად ძვირად ჯდება. სანამ რკინის გზებს გაიყვანდნენ, ტფილისი უმთავრესად კახეთის ღვინოს, აბრეშუმს, თაფლსა და არაყს ხარჯავდა, მერე კი,—მიუხედავად იმისა, რომ კახეთის საქონელი გაცილებით სჯობია ერევნისა და განჯის საქონელს,—კახეთმა ეს ბაზარიც დაჰკარგა და მარტო დარჩა. ამჟამად ტფილისში ერთი ბოთლი კახეთის ღვინო, რომელშიაც ნახევრად განჯისა და ერევნის წყალწყალა ღვინო ურევია, 20—50 კაპ. იყიდება, ადგილობრივ კი კახელი ერთ ჩაფს (24 ბოთლს) ზოგჯერ მანათადაც ვერ ჰყიდის.

უგზოობის გამო კახელები იძულებულნი არიან მხოლოდ იმდენი პური მოიყვანონ, რამდენიც შინ სახმარებლად ჰყოფნით, ხოლო მოუსავლიან წელიწადში ერთ კოდ პურში, რომელიც ადგილობრივ 2 მანათად ღირს, 9—12 მანათს აძლევენ ხოლმე. ფასი დაეკარგა აგრეთვე ყველს,

ერბოსა და მატყლს. ხვნა-თესვამ და საქონლის მოვლა-მოშენებამაც იკლო, ხოლო მათ მაგივრად წარმოების არც ერთ სხვა დარგს არ უმატნია.

მას შემდეგ, რაც ბაქო-კავკავს შეუერთეს რკინის გზით, საქართველოს სამხედრო გზაზე მისვლა-მოსვლა დაეცა. დღეს თუ ხვალ რკინის გზა კავკასიის ქედსაც გადმოლახავს და საქართველოს სამხედრო გზაზე სამუდამოდ შეაჩერებს ყოველგვარ მოძრაობას. ამის შემდეგ კახეთში სრულიად დაეცემა ყოველ-გვარი მრეწველობა და მეურნეობა. კახეთს უშველის მხოლოდ რკინის გზა, რომელიც ამ ქვეყანას კონკურენციის მხრივ სხვა ქვეყნებს გაუთანასწორებს და უცებ აიწევს და გაძლიერებს მის მრეწველობას, ვაჭრობას და სასოფლო მეურნეობას.

კახეთი მარტო თავის მშვენიერ ბუნებითა და საუცხოვო ჰავით არ არის განთქმული. უკვე დამტკიცებულია, რომ ის ერთ უმდიდრეს კუთხეთაგანია არა მარტო რუსეთში, არამედ კავკასიაშიაც კი. ამ ქვეყანაში ისე მშვენივრად არის შეზავებული ჰაერი და ნიადაგი, რომ შეიძლება მთელი კახეთი ერთ უზარ-მაზარ ვენახად გადაიქცეს. მარტო კახეთს შეუძლიან მთელ რუსეთს იმდენი ღვინო მიაწოდოს, რამდენიც მას დასჭირდება და ზედმეტი საზღვარ-გარეთაც გაგზავნოს. ახლა კი რუსეთი აუარებელ ფულს აძლევს საფრანგეთისა და რეინის ღვინოებში იმ დროს, როცა შეიძლება იმისთანა ღვინო აქაც მოიყვანოს და ის ფული, რომელსაც უცხოელებს აძლევს ღვინოში, თავისსავე სახელმწიფოში დაიტოვოს.

კახეთის მცხოვრებთა 81% ხელობით მეღვინე-მევენახეა. ამჟამად კახეთში, დაახლოვებით, 16,000 დესეტინა ვენახია. სულ კარგი სავენახე ადგილი უდრის 60,000-მდე დესეტინას. კახეთს რომ გზა ჰქონდეს და იქაურ ღვინოს გასავალი მოეპოვებოდეს, მთელი კახეთი ხვნა-თესვას თავს დაანებებდა, თვითონ გადაიქცეოდა პურის ბაზრად, და ამრიგად, მთელ სახელმწიფოს სასარგებლოდ, რუსეთის რამდენიმე ათ მილიონ ხორბალს, საზღვარ-გარედ გატანის მაგივრად თვითონ მოიხმარებდა. მაგრამ ამას ვინ ჩივის? კახეთში აუარებელი სპილენძი, ნავთი, მარმარილო, სალითოგრაფიო ქვა და ათასი ხვადასხვა სიმდიდრეა, მაგრამ ყველა ეს განძი ხელუხლებელი ძევს მიწის ქვეშ და მის ამოღებას ჯერ-ჯერობით არავინ ფიქრობს.

ასეთი მდგომარეობა ძირიანად შეიცვლებოდა, კახეთში რომ რკინის გზა იყოს გაყვანილი. მაგრამ რკინის გზათა სამინისტრო ამას ყურადღებას არ აქცევს, მან კახეთის გზის საკითხი გვერდზე გადასდო და ყარს-ერევნის გზების შენებას მოუნდა. რუსეთის ბიუროკრატია არასდროს არ ხელმძღვანელობდა ხალხის ინტერესებით და არც ახლა უხელმძღვანელნია. ის მხოლოდ ისეთ გზებს აშენებს, რომელთაც სტრატეგიული (სამხედრო) მნიშვნელობა აქვთ, ხოლო, რაც შეეხება ამა თუ იმ კუთხის ეკონომიურ ინტერესებსა და ხალხის კულტურულ კეთილდღეობას,—ეს მისთვის ყურადღების ღირსი [illegible] რუსეთის ბიუროკრატია და კერძოდ—გზათა სამინისტრო და დღესაც არ აპირობს ამ პოლიტიკის შეცვლას.

მაგრამ უბედურება ის არის, რომ მთავრობა ამიერ კავკასიას ამ მხრივ გაცილებით უფრო ნაკლებ ყურადღებას აქცევდა, ვიდრე რუსეთის სხვა კუთხეს, რაიცა ცხადად მტკიცდება სტატისტიკით. 1895 წლიდან 1905 წლამდის, ე. ი. 10 წლის განმავლობაში. რკინის გზის სიგძეს ევროპის რუსეთში უმატნია 58%-ით, ჩრდილოეთ კავკასიაში 69%-ით, ხოლო ამიერ კავკასიაში 49%-ით. თუ მხედველობაში მივიღეთ, რომ ტფილის-ყარსისა და გუმბრ-ერევნის რკინის გზებს მხოლოდ სტრატეგიული მნიშვნელობა აქვთ და ზემოხსენებულ გზების სიგრძეს საერთოდ ამიერ კავკასიის გზების სიგრძეს გამოვაკლებთ, შემდეგ განსაცვიფრებელ შედეგს მივიღებთ: ამიერ კავკასიაში რკინის გზების სიგრძეს უმატნია მხოლოდ 7,8%-ით, ციმბირისას კი 305%-ით.

ბევრნი ამბობენ, ვითომ კახეთის რკინის გზას მარტოოდენ ადგილობრივი ხასიათი ექნებაო, მაგრამ ეს მართალი არ არის. ამიერ-კავკასიის რკინის გზა ნავთის გადმოტანას ველარ აუვიდა, რის გამოც ბაქოდან აჯიკაბულამდის და ევლახიდან აქსტაფამდის მეორე ლიანდაგი გაიყვანეს და მის გაგრძელებას ტფილისამდისაც აპირობენ. კახეთის რკინის გზას მეორე თავი უეჭველად აქსტაფაში ექნება,—მაშასადამე, აქსტაფიდან ტფილისამდის მეორე ლიანდაგის დაგება აღარ დასჭირდებათ, ხოლო, თუ კავკასიის ქედიც ახალმა რკინის გზამ გადმოლახა, მაშინ ხომ ბაქოდან კახეთის გზით რუსეთში საქონლის გატანა სულ გაადვილდება.

კახეთში რკინის გზის გაყვანის საჭიროება მეტად ცხადია, მაგრამ ამავე დროს მისი მიმართულება საკამათო საგნად არის გადაქცეული: ზოგს უნდა, რომ გზამ საგურამოზე და ერწოთიანეთზე გაიაროს, ზოგი კი უფრო გარე-კახეთსა და გომბორის ქედს არჩევს, მაგრამ ათას მოსაზრებით ისევ მეორე მიმართულება უნდა სჯობდეს პირველს.

ქუთაისის ქალაქის თვითმართველობა

ქუთაისის ქალაქის მამებს, ანუ—ხმოსნების ენით რომ ვსთქვათ, „ბატრუს კონსერვატორ“-ებს აქამდისაც ვერ შეუგნიათ, რომ უნდა შეიცვალონ. დრონი წინ მიდიან, ცხოვრება ჩქარის ნაბიჯით მიისწრაფვის; ჩვენი ხმოსნები კი, თითქოს გაიყინნო, დგანან ერთ წერტილზე და ცხოვრებას სრულიად ანგარიშს არ უწევენ, თითქოს ეუბნებოდნენ, ჩვენ შენთან არავითარი კავშირი არა გვაქვს; შენ შენთვის იყავი და ჩვენ ჩვენთვისაო. ვინც ქუთაისის ცხოვრებას თვალყურს ადევნებდა, უთუოდ ეცოდინება, თუ რა გულმხურვალედ და ნამდვილ მამობრივის მზრუნველობით ეკიდებოდნენ ქუთაისის ხმოსნები ქალაქის საქმეებს, განსაკუთრებით მდგომარე წელში, როდესაც ყველგან და ყველამ გამოიღვიძა, ყველამ გაახილა თვალები და მოითხოვა თავის ადამიანურ უფლებათა დაკმაყოფილება,—სწორედ ამ წელში ჩვენი ხმოსნები სადღაც ძილს მისცემიან და სდუმან, სდუმან ისე არხეინად, თითქოს მათ სრულიადაც არ ეხებოდეთ ის, რაც მათ გარშემო ხდება. გადახედეთ ქალაქის საბჭოს საქმეებს და დაინახავთ, რომ მდგომარე წელში ხუთჯერ დანიშნული საბჭოს სხდომა ერთხელაც არ სდგებოდა, და, თუ შესდგებოდა, ისიც ნაძალადევად: ზოგი ხმოსანი კლუბიდან უნდა ჩამოეყვანათ, ზოგი გასართობიდან და ზოგიც ბინიდან უნდა მოეყვანათ. მაგრამ, როდესაც შეიკრიბებოდნენ, მაინც რა გააკეთეს?—თითქმის არაფერი. მხოლოდ ერთი შუამდგომლობა წარუდგინეს მინისტრთა საბჭოს და სთხოვეს, მოიღეთ მოწყალება და საქართველოს ავტონომია მიანიჭეთო. ჰო, მართლა. კიდევ ის, რომ მოსკოვში, ქალაქებისა და ერობათა წარმომადგენლების კრებაზედ, ორჯელ გაგზავნეს წარმომადგენლები ავტონომიის სათხოვნელად, ქალაქის ცარიელ კასას ამ საგნისათვის 1,700 მანათი გამოსტაცეს და რუსეთის საზოგადოებას ხვეწნიანად ისიც კი ვერ გააგებინეს, თუ რა უნდა ქართველ ერს და რა საბუთის ძალით.

ქალაქის კეთილმოწყობაზე ზრუნვა კი წელს თითქმის სულ დავიწყებული იყო: არც ქუჩები გაკეთებულა, არც განათება გაუმჯობესებულა, არც სკოლების რიცხვი გამრავლებულა, არც საავადმყოფო აშენებულა, რომლისათვისაც ფული უკვე ნაშოვნი აქვს ქალაქს; წყლის-სადენის, ელექტრონულ განათებისა და ტრამვაის საქმეები ხომ სულ დაიჩაგრა და სხვ. მცხოვრებლები უკმაყოფილონი არიან, განსაკუთრებით ქალაქის განაპირა ადგილები: აქეთ არქიელის გორა და გოგიაურის ხევი, იქით სიღორის და საფიჩხია, აქეთ კიდევ სილის მცხოვრებლები—ქალაქი მხოლოდ გადასახადებს გვთხოვს, თორემ არც ქუჩებს გვიკეთებს, არც გვინათებს, არც სკოლებს გვაძლევს და ვირჩებით, როგორც ფიზიკურად, ისე გონებრივად. ჩვენგან, წვეთით და ძვალთ ნაშოვნი, ორიოდ გროში ქალაქს იმისთვის მიაქვს, რომ მათ დააკმაყოფილოს პოლიცია, ჟანდარმები, ჯარი, მთავრობის მიერ დანიშნული ვიღაც სეკრეტები და დოდინონები, რომელნიც მხოლოდ იმისთვის არსებობენ, რომ ყოველი კეთილი საქმე მოსპონ, ბოროტებას კი ხელი შეუწყონ; რომელნიც ქურდებსა და ავაზაკებს ხელს აფარებენ, ესარჩლებიან; ქალაქის მშვიდობიან მცხოვრებლებს კი სდევნიან, იჭერენ, ციხეში სვამენ, სიცოცხლეს უსპობენ. აი, ამის გამო, ქალაქის გამოფხიზლებულ მცხოვრებლებს თავის ჭკუით, სხვის დაუხმარებლად და ჩაუგონებლად, გადაუწყვეტიათ, რომ [illegible] არ მისცენ ქალაქის თვითმართველობას მანამდის, სანამ ის ამ ფულს მის მტრებს—პოლიციას, ჟანდარმებს, და მისთანებს—აძლევს, სანამ ეს ფული არ მოხმარდება მათსავე, ხალხისავე—კეთილდღეობას.

როგორც ანგარიშებიდან სჩანს, წარსულ 1904 წელში, ქალაქს დაუხარჯავს: პოლიციის შესანახად—17,000 მანათი; ცეცხლის მქრობელ რაზმისათვის, [illegible] 10,000 მანათამდის, [illegible] დასაქირავებლად—20,000 მანათი, ქალაქის ექიმის სკადის ჯამაგირად—900 მანათი, ეს ის ექიმი სკადია, რომელსაც მექრთამეობაში ბრალსა სდებდნენ, მაგრამ, როგორც საგუბერნიო მმართველობის გამოძიებამ (როგორი გამოძიება იქმნებოდა, ამას მკითხველიც ადვილად წარმოიდგენს!) აღმოაჩინა, ბ-ნი სკადი მხოლოდ საჩუქრებსა და ძღვნებს იღებდა ხალხისაგან, თორემ ქრთამებს თავის დღეში ხელს არ ახლებდაო. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ბ-ნ სკადის დამოკიდებულება ქალაქის თვითმართველობასთან მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ ჯამაგირის მისაღებად ბეჯითად დაიარება და თვის 20 რიცხვი არასდეს არ გამოეპარება!; ბებია-ქალს დოლინინს ყოველწლიურად შესანახავათ ეძლევა 300 მანათი, თუმცა კაცს არ გაუგონია, რომ მას ქალაქის თვითმართველობის მინდობილობით ვისთვისმე ებებიებინოს, და არავინ იცის, რით დაიმსახურა ამ პატივცემულმა მანდილოსანმა ასეთი პენსია! გარდა ამისა, ქალაქის თვითმართველობის ხელში უნდა გაიაროს იმ 23,000 მანათმა, რომელიც ხაზინაში შედის, როგორც სახელმწიფო და საერობო გადასახადი, და სავაჭრო-სამრეწველო მოწმობების გადასახადმა, 31,000 მანათმა. აი, ამ, სრულიად უსარგებლო და პირდაპირ მავნებელ, გადასახადებით არიან უკმაყოფილონი ქალაქის მცხოვრებლები და, როგორც ზემოდ ვსთქვით, ყოველ გვარ გადასახადის შემოტანაზედ უარს ამბობენ. ამ გარემოებამ ქალაქის გამგეობა მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩააგდო; მისი, ამდენხანსაც ნახევარჯერ ცარიელი, კასა ახლა მთლად დაცარიელდა და ქალაქის ყოველდღიურ, მიუცილებელ ხარჯებსაც კი ვეღარ აკმაყოფილებს. ქალაქში ხმა გავრცელდა, ვითომც სხვადასხვა ორგანიზაციები უშლიდნენ მცხოვრებლებს ქალაქის თვითმართველობაში გადასახადების შეტანას. ამ ხმებმა აიძულა ქალაქის გამგეობა მოეწვია ორგანიზაციების წარმომადგენელნი, რომ მათის დახმარებით გამოენახა რამე საშუალება ხსენებულ გაჭირვებულ მდგომარეობიდან გამოსასვლელად. ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ერთხმად განაცხადეს, რომ არცერთს ორგანიზაციას არავისათვის არ ურჩევია ქალაქის თვითმართველობაში გადასახადების შემოუტანლობა, თუმცა ისიც აღიარეს, რომ მათის ქადაგებით ხალხმა უთუოდ შეიგნო, თუ რას ხმარდება მისგან აღებული ფული, და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საჭიროა ქალაქის თვითმართველობასაც მოუსპოს შემოსავლის სახსარი, რადგან ის „მთავრობის კუდია“, მას ხელს უწყობს და ნივთიერად ამაგრებს.

ამგვარმა განცხადებამ კიდევ უფრო შეაწუხა ქალაქის გამგეობა, ნამეტურ ქალაქის მოურავი, რომელიც ამ პირობებში შეუძლებლად ხედავდა პოლიციის, ჟანდარმების, ჯარების და სხვა ამგვარ გადასახადებზედ უარის თქმას: საქალაქო დებულების ძალით ხსენებული გადასახადები ჩვენთვის სავალდებულოა და, სანამ თვითონ საქალაქო დებულება არ შეიცვლება, მანამდის ჩვენ ამ გადასახადებზედ უარს ვერ განვაცხადებთ. ამას ისიც დაუმატა, ჩვენ კიდეც რომ უარი ვსთქვათ, მთავრობა თავისას მაინც არ დაჰკარგავს: დააყენებს კაზაკებს ხალხზე, აფთიაქში და სხვაგან და, რაც ერგება, იმაზე მეტსაც წაიღებსო.

ქალაქის მოურავის ასეთი შეხედულება ძლიერ ეწყინათ ორგანიზაციების წარმომადგენელთ, რომელთაც განაცხადეს: სწორედ აი, ამ საქალაქო დებულებას სჭირდება ძირითადი შეცვლა, რომელიც (დებულება) ჩვენთვის სრულიად უსარგებლო და მავნებელ გადასახადებს გვკისრებს, რომელიც ზღუდავს მოქალაქეთა კანონიერ უფლებებს და ქალაქის ბედიღბალს ხელში უგდებს მხოლოდ შეძლებულ მცხოვრებლებს, რომელნიც ყოველს დაწესებულებაში ბატონობენ და თავის პირადს ინტერესებს იცავენ; მცხოვრებლების დიდი უმეტესობა კი, რომელიც შესდგება ნივთიერად შეუძლებელთაგან, სრულიად განდევნილია ქალაქის მართვა-გამგეობიდან, თითქოს მათ ქალაქის საქმეები სრულიადაც არ აინტერესებდეთ. მაგრამ საქალაქო დებულება თავისით ხომ არ შეიცვლება! ეს დებულება თვითონ ხალხმა უნდა შესცვალოს იმგვარად, როგორც ამას სასარგებლოდ და საჭიროდ სცნობს. ხალხი კი იმ აზრისაა, რომ ქალაქის თვითმართველობამ უარი უნდა განაცხადოს პოლიციის, ჯარების, ჟანდარმთა სამმართველოსა და სხვა ამგვარ დაწესებულებათა შესანახ ხარჯების გაღებაზედ; ამასთანავე უნდა გამოაცხადოს ქალაქის არსებული საარჩევნო წესი, რომელიც ქონებრივ ცენზზეა დამყარებული, და ნაცვლად ამისა შემოღებულ იქმნეს საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭის ყრაზე დამყარებული არჩევნები. მანამდის კი, სანამ ჩვენ ამას არ განვახორციელებთ, ახლანდელი ქალაქის საბჭო და გამგეობა, რომელნიც მცხოვრებლების მხოლოდ უმდიდრეს და მასთან უმცირეს ნაწილის წარმომადგენელნი არიან, ვერ მოიპოვებენ იმ ხალხის ნდობას, რომელმაც მას სამართლიანად ზურგი შეაქცია. ამასთანავე ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ისიც განაცხადეს, რომ, საჭიროა ახლანდელ პოლიციის ნაცვლად, დაარსდეს საქალაქო მილიცია, რომელსაც უნდა მიენდოს მცხოვრებლების ნივთიერ ინტერესების დაცვაო.

15 ნოემბრისათვის ქალაქის გამგეობამ მოიწვია საბჭოს საგანგებო კრება ზემოხსენებულ კითხვის შესახებ მოსალაპარაკებლად. ჩვენმა ხმოსნებმა ახლაც კი არ გამოიღვიძეს და არ დაესწრნენ კრებას. მაგრამ მათ ნაცვლად საბჭოს დარბაზში დიდძალმა საზოგადოებამ მოიყარა თავი და ქალაქის მოურავის თავმჯდომარეობით გამართა თათბირი ხსენებულ კითხვის შესახებ. კრებაზე იგივე აზრი და სურვილი გამოითქვა, რაც უკვე გამოთქმული იყო ორგანიზაციების წარმომადგენელთა კერძო თათბირზედ. ამასთან კრებამ საჭიროდ სცნო გამართოს მთელი ქალაქის მცხოვრებლების მიტინგი, რომ გავიგოთ, თუ რა სურს ხალხსო. ეს მიტინგი მოხდება კვირას, 27 ნოემბერს, თუ დარი იქმნა—ქალაქის ბაღში, და თუ ავდარი—მაშინ თეატრში.

ისარა.

„პატრიოტების“ პროკლამაცია

„ძმებო სალდათებო! 26 ნოემბერს ნამესტნიკმა ადგილობრივ მცხოვრებთ—„ტუზემცებს“—დაურიგა იარაღი და უთხრა: „მე თქვენ განდობთ ქალაქსა და მის მკვიდრთო. ძმებო სალდათებო! ამ სიტყვებიდანა სჩანს, რომ ნამესტნიკი აღარ ენდობა ჯარებს და რუს-მცხოვრებთ, ეს კი ჩვენ ყველასათვის სამარცხვინო შეურაცხყოფაა. თუ ის უფრო ენდობა „ტუზემცებს“, მაშ კაზაკები და სალდათები რისთვის უყენია კარზე მცველად? დეე, „ტუზემცებმა“, მილიციამ დაიცვას იგი. თქვენ კი, ძმებო, კაზაკებო და სალდათებო, ეს არ უნდა ჰქმნათ. ის მოღალატეა მეფისა და რუსეთისა და მფარველობას უწევს „ტუზემცებს“, სხვათა შორის, იმიტომაც, რომ მისი ცოლი სომხის ქალია, მისი ვაჟის სიმამრი და ამიტომაც მათი მხარე უჭირავს. ამათ მათ შეურაცხყვეს რუსეთი და რუსები. მათ არ აწუხებს რუსთა მდგომარეობა. განა გაფიცვების დროს გამოიკვლიეს მათ, რა უნდოდათ რუს-მუშებს და დააკმაყოფილეს ისინი?... სრულიადაც არა! ისინი მხოლოდ „ტუზემცებს“ უსვამენ თავზე ხელს. ძმებო-სალდათებო, ნუ დაუჯერებთ მათ, ისინი რუსეთის გამცემნი და მოღალატენი არიან. ისინი რუსეთის საქმეებზე ბჭობენ და მამისჯელს—რუსის გლეხს—როდი ეკითხებიან, სურს მას ეს ცვლილებები თუ არა. ძვირფასო ძმებო! თავი დასდევით რუსეთისათვის, უთხარით მოღალატეებს, რომ მათ გაჰყიდეს რუსეთი! „ტუზემცებმა“ კი დაგვცინიან და გვეუბნებიან, თქვენ რუსეთი გაჰყიდეთო. განა ეს მოსათმენია? თავი დავდოთ, ძმებო, რუსეთის მთლიანობისათვის!..“

მილიციონერის რაჟდენ სტურუას გასვენება

ხუთშაბათს, 1 დეკემბერს, ნაძალადევში, დიდძალი საზოგადოება შეიკრიბა სოც.-დემოკრატიულ ორგანიზაციის მილიციონერის რაჟდენ სტურუას პატივსაცემლად, რომელიც ამ დღეებში, თათართა და სომეხთა ჟლეტვის დროს, პოზიციაზე იქმნა მოკლული. მრავალი მგრძნობიერი და დროს შესაფერი სიტყვა წარმოითქვა. ყველაზე უწინ ილაპარაკა ქალაქის მოურავმა ჩერქეზიშვილმა,—ქალაქის თვითმართველობის სახელით მოკლე სიტყვაში თანაგრძნობა გამოუცხადა მუშათა ორგანიზაციას, რომელთა გმირების ჯგუფს მოკლული სტურუა გამოაკლდა. შემდეგ ილაპარაკეს სომხის წარმომადგენლებმა. მათ აღნიშნეს თავგანწირული მოქმედება სოციალდემოკრატიულ ორგანიზაციის წევრებისა, რომ სომხისა და თათრის ერი კი არ ებრძოდა ერთმანეთს, არამედ ებრძოდნენ ბნელი ძალები, პროვოკატორებიო, თუ არ ესენი—სომხებსა და თათრებს შუა დღესაც ისეთივე კეთილი განწყობილება იქნებოდა, როგორიც ამ ათის წლის წინ იყო, და უღრმესი მადლობა გამოუცხადა კავკასიის ყველა სომხებისა, სომხურ გაზეთებისა და პოლიტიკურ პარტიების მხრივ ტფილისის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციას.

ილაპარაკა აგრეთვე გაზეთ „მშაკის“ წარმომადგენელმა, ციმბირიდან ახლად დაბრუნებულმა, ერთმა ახალგაზდამ,—„დაშნაკცუტიუნის“ და „ჰ.ნჩაკისტების“ წარმომადგენლებმა.

თათრის ინტელიგენციის წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ქართველებსა და სოც.-დემოკრატიულ ორგანიზაციას. „მოვა დრო,—სთქვა ამან—და ის თათარი, რომლის ტყვიამაც გული გაუგმირა მიცვალებულს, იმის საფლავთან ბოდიშს მოიხდის და მის ძვლებს შენდობასა სთხოვს უვიცობისა და უზრდელობისთვის“. შემდეგ ილაპარაკეს „სოციალ-რევოლუციონერების“ პარტიის წარმომადგენლება და ბოლოს ტფილისის მუშათა ორგანიზაციის წარმომადგენელმა.

აქედან ათასობით ხალხისაგან შემდგარი პროცესსია ვოკზალისკენ დაიძრა. წეს-რიგს თვითონ ხალხი იცავდა. ვოკზალში ილაპარაკეს: სალდათმა, ფრიდონოვის ქარხნის მუშების წარმომადგენელმა, ერთმა პოლონელმა და სულ ბოლოს—თავმჯდომარემ. მიცვალებულის გამოთხოვების შემდეგ, თავმჯდომარემ გამოუცხადა საზოგადოებას, რომ ზოგიერთებს ორგანიზაციის ნიშნებით მკლავებზე უსარგებლნიათ და ვითომ და კომიტეტის ნებართვით ტრამვაიზე ფულს აღარ იხდიანო. ამით ვაცხადებთ, რომ კომიტეტს არავისთვის ასეთი უფლება არ მიუციაო.

ს.-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ, ს.-რევოლუციონერების პარტიის ტფილისის კომიტეტმა, ტფილისის მუშა ამხანაგებმა, სომხების ინტელიგენციამ და სხვ. მიცვალებულის კუბო გვირგვინებით შეამკეს.

კუბო საგანგებო მატარებლით ლ. სამტრედიაში წაასვენეს.

შეფილი

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მებუფეტეთა კავშირის ბიუროსაგან

„ჩვენ, ამიერ-კავკასიის რკინის გზის მებუფეტეებმა, თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებისა გამო, საჭიროდ დავინახეთ დავაარსოთ მებუფეტეთა კავშირის ბიურო, რომელმაც უნდა განაგოს ჩვენი საზოგადო საქმეები, როგორც სავაჭრო, ისე საურთიერთო.

ბიურომ უნდა მოითხოვოს, რომ: 1) გაუქმებულ იქმნეს ბუფეტების გაცემის დროს საჯარო ვაჭრობა, რადგან ზედმეტი ხარჯი მოსდით, როგორც მგზავრებს, ისე თვით მებუფეტეებს.

2) მომავალ 1906 წლ. საჯარო გადასახადი ეპატიოთ მებუფეტეებს, რადგან საერთო კრიზისი ჩამოვარდა, სამაგიეროდ კი საჭირო ფასი განსაზღვრულ უნდა იქმნას ბიუროსთან შეთანხმებით.

3) რადგანაც ჩვენი სამსახური ისეთივე სასარგებლოა გზისათვის, როგორც სხვა აგენტებისა, ამიტომ გათანასწორებულ უნდა ვიქმნეთ უფლებებით სხვა აგენტებთან: ჩვენა და ჩვენს სახლო-[illegible] ბილეთი სამგზავროდ და მუქთი საექიმო დახმარება.

4) მებუფეტეთა და მათ მოსამსახურეთა შორის ამტყდარი უთანხმოება გამოსაძიებლად უნდა გადაეცეს მუშათა ორგანიზაციებს.

5) რკინის გზის სამმართველომ ბუფეტებში მოსამსახურეთ უნდა მიუჩინოს კარგი ბინა.

6) ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოსამსახურეთა და მუშათა ორგანიზაციებს ნება უნდა ჰქონდეთ, თვალყური ადევნონ ბუფეტის საქმის კეთილად წარმართვას, რისთვისაც საჭიროა, რომ რკინის გზის სამმართველომ ჩვენს ბიუროსთან შეთანხმებით შეიმუშაოს განსაკუთრებული წესები ბუფეტის კონტროლისათვის.

7) ბიურო მოვალეა, დაუყოვნებლივ გადაათვალიეროს ნიხრები და ახლავე შეამციროს ფასები პირველ საჭიროების სანოვაგეზე.

8) 1906 წლის პირველ იანვრამდე სამმართველოს ყველა მოთხოვნილებანი უნდა შესრულებულ იქმნეს, ხოლო ამ დროიდან კი ახალი წესები უნდა შემოვიდეს.

9) ამ წლის 7 დეკემბრისათვის დანიშნული საჯარო ვაჭრობა ბუფეტების გაცემის შესახებ სამმართველომ უნდა გააუქმოს; თუ ამას სამმართველო არ მოისურვებს, არც ერთმა ჩვენთაგანმა ვაჭრობაში მონაწილეობა არ მივიღოთ. ვსთხოვთ აგრეთვე ყველა მოქალაქეთ, ამ ვაჭრობაზე არ გამოცხადდნენ და ამით მოსპონ ის უსამართლო ექსპლუატაცია, რომელიც ყველას ხელს გვიშლის, ხოლო იმათ, ვინც ჩვენს თხოვნას არ აასრულებს და ვაჭრობაში მონაწილეობას მიიღებს, ნუ დაავიწყდებათ, რომ საქმე მარტო თითოეულ მებუფეტესთან კი არა, არამედ—მებუფეტეთა შეერთებულ კავშირის-ბიუროსთან ექნება.

ახალი ამბავი

სამშაბათს, 6 დეკემბერს, ტფილისში, ბ-ნ ვლ. ახმეტელაშვილის რედაქტორობით, გამოვა **ახალი სოციალდემოკრატიული გაზეთი „სხივი“** გაზეთის თანამშრომლებად იქმნებიან მხოლოდ ის პირნი, რომელნიც სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციაში ირიცხებიან.

◆ **ტფილისში რკინის გზის ბილეთებს ბათუმამდე და ფოთამდე აღარ აძლევენ.** ბილეთებს მხოლოდ ყვირილამდე ჰყიდიან. ყვირილის იქით რკინის გზა ხალხის ხელში ყოფილა. ყვირილიდან ბათუმსა და ფოთამდე მილიციონერები ჰყიდიან ბილეთებს და ფული ხალხის სასარგებლოდ მიდის. თვითოეულს მატარებელს ყვირილიდან 30—60 მილიციონერი მისდევს და უბილეთოდ არავის უშვებენ. ზოგან რკინის გზის მილიციონერები ხალხს ლიანდაგის აყრას უშლიან.

◆ ბათუმიდან ჩამოვიდა ბათუმის ქალაქის მოურავი თავ. ანდრონიკაშვილი, რომელსაც აზრად აქვს ინახულოს ნამესტნიკი, აუხსნას მას ბათუმის მდგომარეობა და სთხოვოს, რომ **კაზაკები ქალაქიდან იყვნენ გაყვანილნი**. ამავე მიზნით ჩამოვიდნენ ქუთაისის გუბერნატორი სტაროსელსკი, სამხედრო უწყების წარმომადგენელი, ქუთაისის ქალაქის მოურავი, თავად-აზნაურთა წინამძღოლი და ქუთაისში მყოფ მოხელეთა დეპუტატები.

◆ როგორც დანამდვილებით გვიგებთ, მთავრობამ დააკმაყოფილა ბათუმის მცხოვრებთა შუამდგომლობა **ბათუმიდან კაზაკების გაყვანის შესახებ**.

◆ ყორღანოვისა, ანასტასიევისა და სლეპცოვის ქუჩის მცხოვრებთ თათბირი ჰქონდათ მცხოვრებთა **თავის დამცველ მილიციის დაარსების შესახებ**. მცხოვრებლებმა მილიციის მოსაწყობლად აირჩიეს ბიურო, რომელმაც დაადგინა, რომ საჭიროა ამ ქუჩის სახლის პატრონებმა დაიქირაონ ოცი კაცი მილიციისათვის და დაავალონ სხვა საქმეს ხელი არ მოჰკიდონ. მილიციის მოსაწყობად, ბიუროს აზრით, საჭიროა სახლების პატრონების შემოსავლის ათი პროცენტი.

◆ **ტფილისის ქალაქის გამგეობამ შემდეგი მოწოდება გამოსცა**: „ტფილისის ქალაქის თვითმართველობა მოქალაქეთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ მაჰმადიანთა და სომეხთა წარმომადგენლების შეერთებულ კრებაზე საბოლოოდ მოხდა მშვიდობიანი მორიგება. ამიტომ ყველა მცხოვრებთ, განურჩევლად ეროვნებისა, მოვუწოდებთ ამ მშვიდობიანობის განსამტკიცებლად. რადგან ყოველ შეტაკების მიზეზნი იყვნენ ის პირნი, რომელთა პირად ინტერესებისათვისაც საჭირო იყო არეულობა, ამიტომ ყოველგვარ შემთხვევის მიზეზნი—კერძო ინტერესებით გამსჭვალული პირები—უსათუოდ ჯეროვნად უნდა იქმნენ დასჯილნი, და ღონისძიებანი უნდა იქმნეს მიღებული, რომ რომელიმე კერძო მკვლელობამ დიდი და საყოველთაო არეულობა არ გამოიწვიოს. ამ მიზნით არჩეულ იქმნა კომისია, რომლის წევრებადაც არიან მაჰმადიანთა ექვსი წარმომადგენელი და ამდენივე სომხებისა. იმ დრომდე, სანამ მთელის კავკასიის თათართა და სომეხთა წარმომადგენლების კრება მოჰმადებოდეს და მშვიდობიანობის დასამყარებლად ღონისძიებანი შემუშავებულ იქმნებოდეს, კომისია დაწვრილებით გამოიკვლევს ხოლმე ყოველ კერძო მკვლელობას და დამნაშავეებს დასჯის. ამიტომ ვთხოვთ ყველას, რომ ყოველი კერძო მკვლელობა, თუ გაძარცვა აცნობოს ქალაქის მოურავს თავ. ჩერქეზიშვილს, რომელიც ამ კომისიის თავმჯდომარეა. მხოლოდ საერთო შეთანხმებულ მოქმედებით არის შესაძლებელი მშვიდობიანობის დამყარება და იმ სამწუხარო ამბების მოსპობა, რომლის მოწმეც მთელის კვირის განმავლობაში ვიყავით.“

◆ გუშინწინ სამეურნეო საზოგადოების დარბაზში შესდგა **ნეიტრალურ ეროვნებათა ქალე-**[illegible], რომელსაც სომეხ თათართა შორის ამტყდარ ხოცვა ჟლეტისთვის რაიმე მალამო უნდა გამოეძებნა. კრებას ბლომად დაესწრნენ სომხის ქალებიც, ხოლო თათრებისა—არც ერთი. კამათი მალე ეროვნულ ნიადაგზე გადავიდა და ძალიან გამწვავდა. სომხები ქართველებს უმოქმედობას, გულგრილობასა და თათრების მომხრეობას უკიჟინებდნენ, გაზეთებს ტენდენციურ მიმართულებას აბრალებდნენ და სხ.; კრებაზე სომეხ ქალების მხრით ხშირად ისმოდა ასეთი საყვედურები: „ქართველები საშინელ გულციობას იჩენენ, ხოცვა-ჟლეტის მოსპობას არ ცდილობენ და ყველაფერს მარტო სომხებს (?) აბრალებენ“. კრებამ რეზოლიუციის გამოტანა დღეისთვის გადასდო.

◆ ორი დღეა, ტფილისის **ცეცხლის მქრობელი რაზმი** თათრების უბანში სდგას და თვალყურს ადევნებს იქაურობას, რათა ღონის-ძიებანი დაუყოვნებლივ მიიღოს, თუ სადმე ცეცხლი გაჩნდა. ამჟამად შესაძლებელი გახდა ვაცნობოთ მკითხველთ, თუ ცეცხლი სადა და სად გაჩნდა. ცეცხლი მოჰკიდებია სახლებს ვორონცოვისა და კრასილნის ქუჩაზე და ციხის შესახვევში. დაიწვა ბერძენთა ეკლესიის მთელი ქონება, ეკლესია კი რამდენიმედ დაიწვა. როდესაც ცეცხლი ეკლესიას მოედო, ვიღაც შევარდა ეკლესიაში და იქიდან ეკლესიის მოწყობილობა მთლად გამოზიდა. დაიწვა მხოლოდ საკურთხევლის ნაწილი. ამ ქუჩებში დაიწვა სახლები გ. ა. ხარაზოვისა, ძმ. გურგენბეკოვებისა, ძმ. ხარაზოვებისა, არუთინოვისა, კენიპოვისა, ზაქარბეგოვისა, ტერ-აკოპოვისა, აბამელიქისა, თულაევისა და თეიმურაზოვისა. ციხის შესახვევში დაიწვა ოსკანოვის და თოფჩიბაშევის სახლები. კრასილნი შესახვევში ცეცხლის მქრობელ რაზმის მეთაურმა დაიჭირა ერთი კაცი, რომელსაც ცეცხლის წასაკიდებლად ნავთი მიჰქონდა. გაზეთებში დაბეჭდილი ცნობა, ვითომ ფაბრიკები დაიწვათ, სიმართლეს მოკლებულია. ვორონცოვის ქუჩის ბოლოზე დაიწვა მხოლოდ ეგიაზაროვის ქონება.

◆ გუშინ, 2 დეკემბერს, სომეხთა და თათართა შორის მშვიდობიანობის ჩამომგდებმა კომიტეტმა გადასწყვიტა, ეთხოვოს ელექტრონის ტრამვაის დირექციას, რომ თათრების უბანში **დაუყოვნებლივ აღდგენილ იქმნას ტრამვაის ვაგონების მოძრაობა**, რითაც ხალხი მართლა დარწმუნდება, რომ ქალაქში აღარავითარი შიშიანობა არ არისო. დირექციამ გუშინვე ხელოსნები გაგზავნა თათრის უბანში ტყვიებით დაწყვეტილ მავთულების გასაკეთებლად. მოძრაობა ამ უბანში დღეს დაიწყება.

◆ არა-რუსთა წარმომადგენელთა კრებამ, რომელიც 19—21 ნოემბერს შესდგა პეტერბურგში, საქართველოსთვის და სათათრეთისთვის (ბაქოსი და განჯის გუბერ.) აღიარა **ეროვ-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნულ-ტერიტორიული ავტონომია, ხოლო სომხებისათვის, რომელთაც საკუთარი ტერიტორია არა აქვთ—ეროვნული ავტონომია.

◆ გუშინ, 2 ნოემბერს, ქალაქის თვითმართველობაში მრავლად გამოცხადდნენ ტფილისის მცხოვრებნი და ქალაქის გამგეობას სთხოვეს, **გვიშუამდგომლეთ, რომ თავის დასაცველად მთავრობამ იარაღი მოგვცესო.**

◆ ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკმა დეკემბერში დანიშნული **სიჯარო ვაჭრობა**, ეკონომიურ კრიზისის გამო, **მომავალ წლის იანვრისთვის გადასდო.** ამას გარდა, რათა მსესხებელთ საქმე გაუადვილოს, ფულის შემოტანის ორი ვადის მაგიერ სამი ვადის დანიშვნა განიზრახა.

◆ სოფლიდან ჩამოსულ თათრებთან ერთად **ტფილისიდან მიდიან ის თათრებიც**, რომლებიც, დიდიხანია, ტფილისში სცხოვრობენ და ვაჭრობენ.

◆ ამ დღეებში **ქუთაისში დაჭრილი სტუდ. პეტროვი**, როგორც გავიგეთ, პირველი მსხვერპლი არ ყოფილა თავის ოჯახიდან. ამ ერთი წლის განმავლობაში მოუკლავთ მისი დაი და ძმა!

◆ თათარ სომეხთა სისხლის ღვრა ზოგიერთებისათვის სასიხარულო შეიქმნა: სახლებში დადიან და **სხვადასხვა კომიტეტის სახელით ფულს აგროვებენ.** 29 ნოემბერს, საღამოს 9 საათზე, მთაწმინდაში ზაქარა საამოვის დუქანში შევიდა ორი შეიარაღებული კაცი და იარაღით ხელში მედუქნეს ათი თუმანი მოსთხოვა. ამბობდნენ, ,,კომიტეტის გამოგზავნილი ვართ'', ,,გაზეთმა დამავალა ფულის შეგროვებაო''. მაგრამ, როგორც სოციალ-დემოკრატთა ბიურომ გამოარკვია, ეს ტყუილი ყოფილა და თვით ,,ვოზროჟდენიე''-ს რედაქციამ, რომლის სახელით დადიოდნენ ეს ყმაწვილები, გამოაცხადა, მათთან საერთო არაფერი არა გვაქვსო.

◆ დღეს, 3 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, ტფილისის მუსიკალურ სასწავლებლის შენობაში **დანიშნულია კრება მთაწმინდის სახლების პატრონთა**, თავის დამცველ რაზმის შესადგენად.

◆ გუშინ, 1 დეკემბერს, მიხეილის პროსპექტზე **ორი კაცი შეიპყრეს** იმ დროს, როდესაც სოციალ-დემოკრატიულ პარტიის სახელით ერთ კაცს ორმოც თუმანს ახდევინებდნენ. შეპყრობილთაგანი ერთი უკვე გზაზე გაექცათ, ხოლო მეორე სოც.-დემ. პარტიის ბიუროში **წაიყვანეს.**

◆ დუშეთიდან იწერებიან, რომ კაზაკებმა თავისი მოქმედებით ისე **გაამწარეს მცხოვრებნი**, რომ მთავრობას განუცხადეს, **თუ ამ მოკლე ხანში არ გაიყვანთ აქედან კაზაკებს**, მოთმინების ფიალა აგვევსო და ჩვენსა და მათ შორის სისხლის ღვრა აუცილებელი იქნებაო.

◆ მიხეილის საავადმყოფოში აქამდე არის **მოკლულთა 27 გვამი.** მათში 2 სომეხია, დანარჩენი მაჰმადიანები. საავადმყოფოს უფროსი ექიმი ცუდს მდგომარეობაშია ჩაყენებული. არ იციან, რა გვარად დაასაფლავონ მაჰმადიანები, **რადგან** მაჰმადიანთა სასაფლაოზე გვამების წაღება საშიშია, დაგვიანება კი აღარ შეიძლება.

◆ ნავთლუღს იქით ორი ქარხანაა, სადაც წებებს აკეთებენ. ერთი ქარხანა ეკუთვნის სომეხს, მეორე მაჰმადიანს. 29 ნოემბერს **ქარხნის პატრონმა სომეხმა მოიყვანა ქალაქიდან ორი შეიარაღებული სომეხი და თავის მოქიშპეს მაჰმადიანს ქარხანა დაუნგრია.** ამ გარემოებით აღელვებულნი ნავთლუღის მცხოვრებნი—ქართველები—შეიყარნენ და დაადგინეს, წინადადება მისცენ სომეხს, მაჰმადიანის დანგრეული ქარხანა ხელ-ახლა ააშენოს, თორემ შენს წინააღმდეგ რეპრესიულ ზომებს მივიღებთო.

◆ **ამ დღეებში გამოვიდა** ტფილისის რეალურ სასწავლებლის მოწაფეთა რედაქტორობით გამოცემული თვიური ჟურნალი „პრობუჟდენიე" —გამოფხიზლება; ახლა ტფ. პირველ გიმნაზიის შეგირდებიც აპირობენ ყოველ-კვირეულ გაზეთის „ეხოს" გამოცემას. რედაქცია იწვევს ტფ. ყველა საშუალო სასწავლებელთა მოწაფეებს გაზეთში მონაწილეობის მისაღებად.

◆ ქართველ **კათოლიკეთა პატრების ერთ ჯგუფს** განუზრახავს მომავალ წლიდან ქ. ტფილისში **გამოსცეს** სასულიერო ჟურნალი ,,ჯვარი ვაზისა''. ჟურნალის საქმეს მთელი ჯგუფი აწარმოვებს. ჟურნალი ,,მწყემსის'' ფორმატისა იქნება—36—40 გვერდამდე—და გამოვა ყოველ-კვირეულად.

◆ კონსტიტუციონალ-დემოკრატიულ ბიურომ გადასწყვიტა, **დააარსოს ტფილისში კლუბი** და გამოსცეს გაზეთი.

◆ სპარსეთისა, ოსმალეთისა, გერმანიისა და საფრანგეთის საელჩოებს ტფილისში ჯარები იცავენ.

◆ კავკასიის ნამესტნიკმა საჭიროდ იცნო, როგორც **დროებითი ზომა**, გორის მაზრის ცხინვალისა და ხიდისთავის საპოქაულოები გაეყო ცხინვალის, მთიან-ოსეთის, ახალ-ქალაქის და ქარელის საპოლიციო ნაწილებად.

◆ ტფილისიდან ბორჩალოს მაზრაში გენ. ი. ს. ჰაჰავაძის მეთაურობით გაემგზავრა **მომრიგებელი კომისია** სომეხ-თათართა შესარიგებლად. **კომისიაში მონაწილეობას იღებს** ოთხი მაჰმადიანი.

◆ ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა მიტინგზე 28 ნოემბერს საწინააღმდეგო მოქმედებისთვის ბოიკოტი გამოეცხადათ: ფოსტ. ტელ. მოხელეს **ა. ნ. ივანოვს**, საქმის მწარმოებელს **კ. ი. სტოცკის** და მექანიკოსს **ა. ა. შტარკს.**

◆ პირველ დეკემბერს, საღამოთი, მეცხრე საპოლიციო უბანში, ოსიპოვის შესახვევში, **მცხოვრებლებმა შეაჩერეს გზად მიმავალი ხულიგანი.** ლაპარაკის დროს ხულიგანმა რევოლვერი გაისროლა, შუშით ბენზინი ქუჩაზე დააგდო და გაიქცა.

◆ ტფილისიდან ალექსანდროპოლამდე რკინის გზის ყველა სადგურზე **ნახევარ როტა ჯარის კაცი სდგას** და სადგურებს ყარაულობენ.

◆ მკითხველებმა უწყიან, რომ ტფილისის მახლობლად ქართველთა რამდენიმე **სოფელს თათრები დაესხნენ.** როგორც გავიგეთ, ტფილისის პოლიტიკურ ორგანიზაციებს განუზრახავთ ამ სოფლებში პროპაგანდისტები გაჰგზავნონ, რომელთაც ხალხი უნდა დაარწმუნონ, რომ ასეთი თავ-დასხმა გამოწვეულია ხალხის მტრების მიერ. აზრად აქვთ, დეპუტაცია თათრებსაც გაუგზავნონ და ჩააგონონ, რომ ქართველთ და მათ, როგორადაც სხვა ეროვნებათა ხალხს, გასაყოფი არა აქვთრა და ასეთი განხეთქილება საშინლად ავნებს ყველა ხალხის კეთილდღეობას.

◆ **ხვალ, 4 დეკემბერს**, დილის 11 საათზე, კრება აქვს ტფილისის ქალაქის გამგეობას თავის-დამცველ **მილიციის დაარსების შესახებ. კრებაზე მოწვეულნი** არიან თითოეულ საპოლიციო უბნიდან ათ-ათი წარმომადგენელი.

◆ გუშინ წინ, 1 დეკემბერს, კრება ჰქონდათ **ვერის სახლების პატრონებსა და მდგმურებს.** კრებას დაესწრნენ ოლგასი და კირპიჩნი ქუჩის გარშემო მდებარე ქუჩების მცხოვრებნი. გადასწყდა, მილიციის შესადგენად დაიქირაონ 80 კაცი და მთელი რაიონის მცხოვრებთ მილიციის შესანახი ფული გადახდეთ. თვეში ხარჯი 4.000 მანეთი ექნებათ. ფული გაწერილი იქნება იმის კვალობაზე, თუ ვინ რამდენს დასაფასებელ ხარჯსა და სახლების გადასახადს იხდის. მცხოვრებლებმა აირჩიეს ბიურო და დაავალეს, სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციასთან მოლაპარაკება გამართონ მილიციის სასურველად მოწყობის შესახებ.

◆ გუშინ წინ, 1-ლ დეკემბერს, საღამოს $8^1/_2$ საათზე, გოლოვინის პროსპექტზე, არტისტიულ საზოგადოების თეატრის გვერდით, ბინიათ-ოღლის თამბაქოს მაღაზიაში რამდენიმე კაზაკი და ერთი გოროდოვოი შეპარულიყვნენ და თამბაქოს იპარავდნენ. გამვლელებმა შეამჩნიეს და ყვირილი ასტეხეს. კაზაკები დუქნიდან გამოცვივდნენ და გაიქცნენ.

◆ 30 ნოემბერს, მეხუთე საპოლიციო უბანში, კვირაცხოვლის ეკლესიის მახლობლად თათბირი ჰქონდათ ანჩისხატისა, ბაგრატიონისა, ფომინისა და პოლიციის ქუჩის მცხოვრებთ იმის შესახებ, რომ, რადგან შიშიანობაა და ყოველ წუთში მოსალოდნელია ხულიგანთა თავდასხმა მშვიდობიან მოქალაქეებზე, საჭიროა შეადგინონ თავის დამცველი რაზმი. ამორჩეულ იქმნა რვა კაცისაგან შემდგარი კომისია, თითოეულ ქუჩიდან ორ-ორი. ამ კომისიას დაავალეს, თავდამცველ რაზმში ჩაწერის მსურველთა რიცხვის შედგენა; ესენი მეთვალყურე იქმნებიან თავდამცველ რაზმის წევრებისა. ეს გარდაწყვეტილება ამავე საღამოსვე სისრულეში იქმნა მოყვანილი. რაზმში სამ-სამდე კაცი ჩაეწერა. დასახელებულ ქუჩების რაიონში ბარიკადებია გამართული და ეტლებისა და ფურგუნების მოძრაობა დღემდე შეჩერებულია.

◆ ხუთშაბათს, 1 დეკემბერს, ღამის 11 საათზე ეგრეწოდებულ მთაწმინდაში ერთმა ხულიგანმა რამდენჯერმე რევოლვერი გაისროლა. მას მილიციონერებმაც უპასუხეს, მაგრამ ვერ მოარტყეს. ეჭვი ერთ ხულიგანზე მიიტანეს.

◆ ხუთშაბათს, 1 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე, მიხეილის ქუჩაზე, როცა ელექტრონის ტრამვაი გაქანებული მოდიოდა, ერთმა უცნობმა მოინდომა ხელ შეხტომა, მაგრამ ხელი აუსხლტა, ვაგონს ქვეშ მოჰყვა და მსუბუქად დაშავდა.

◆ გუშინწინ, 29 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, მეხუთე საპოლიციო უბანში, ბაგრატიონისა და მუხრანის ქუჩის კუთხეში, ყორღანოვის შენობაში, ოცდაათამდე სომეხს გაუტეხია და გაუძარცვავს თათრის მაჰმად ჰასან-ოღლი მაჰმადი ახმედოვის სწრიდმანი დუქანი. ოთხი მათგანი უკვე შეუპყრიათ.

◆ ოთხშაბათს, 30 ნოემბერს, საღამოს $7^1/_2$ საათზე, სალდათის ბაზარში მიდიოდა ერთი კერძო მასწავლებელი (ტომით გერმანელი). ამ დროს მახლობელ დუქნიდან გამოიჭრა სამი უცნობი კაცი, სომეხი, შეაჩერეს მასწავლებელი და შეეკითხნენ: სად მიდიხარო? მან უპასუხა, ვინა ხართ თქვენ? მე მოვალედ არა ვთვლი ჩემს თავს, რომ ვიღაც უცნობთ ჩემი წასვლა-წამოსვლის ანგარიში მივცეო, და გაუდგა თავის გზას. არ გაუვლია ხუთი ნაბიჯი, რომ საიდგანღაც გზა შეუკრა ოთხმა ხანჯლებითა და კეტებით შეიარაღებულმა სომეხმა. შეაჩერეს და მკვახედ ჰკითხეს,—რუსი ხარო? მან უპასუხა: რაში გეკითხებათ, რუსი ვარ თუ სხვა ვინმეო? კიდევ შეეკითხნენ, უფრო გაჯავრებით, გვითხარი, რუსი ხარ თუ არაო? მან უპასუხა. მე გერმანელი ვარო. მაშ ჩვენი კაცი ყოფილხარო, სთქვეს სომხებმა და გაანთავისუფლეს გერმანელი. რას უნდა მიეწეროს ასეთი საქციელი?!

◆ **ტფილისის მეთორნეების მოთხოვნილებანი.** მომუშავენი ტფილისის ყველა მეთორნეებისა ვთხოულობთ ჩვენი ხაზეინებისაგან შემდეგს: 1) მუშაობა იწყებოდეს დილის 4 საათზე და თავდებოდეს შუადღის 1 საათზე, 2) პურის დამკვრელს ეძლეოდეს დღეში 1 მ. 3) ცომის მზელელს 80 კ. დღეში; 4) დაზგაზე მომუშავეს თვეში 8 მ. 5) ხაზეინებმა მუშებს დათხოვნა უნდა გამოუცხადონ ორი თვით ადრე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხაზეინმა დათხოვნილ მუშას ორი თვის ჯამაგირი უნდა მისცეს; 6) მუშაობის დროს, ავადმყოფ მუშას ხაზეინმა უნდა მისცეს ერთი თვის ჯამაგირი და ორი თვის საექიმო ხარჯი; 7) სამუშაო ტანისამოსი მუშას უნდა ეძლეოდეს ხაზეინიდან კვირაში ორჯერ გარეცხით; 8) შეგირდებს უნდა იყვანდნენ ორი წლის ვადით, არა ნაკლებ 16 წლისა (ვინც ამ ხნისაზე ნაკლები აყვანილია, ისინი დარჩნენ); 9) შეგირდებს ხაზეინისაგან უნდა ეძლეოდეს სუფთა ტანისამოსი და საჭმელი; 10) შეგირდებს თვეში ორჯერ ეძლეოდეს აბანოს ქირა და თვეში ორჯერ თავის გასაპარსი ფული.

ამასთანავე ვუერთდებით ჩვენ რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიას და ვთხოულობთ დამფუძნებელ კრებას, საყოველთაო, თანასწორის, პირდაპირისა და ფარულის კენჭ-ის ყრით.

მთავრობის განცხადება

შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველმა ცირკულიარით აუწყა, რომ ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა საერთო კავშირის დაარსების ნების მიცემა ყოვლად შეუძლებელია. ის მოხელენი, რომელნიც კავშირის დაარსებისკენ მიისწრაფვიან, დათხოვნილ იქმნებიან სამსახურიდან. დაითხოვენ აგრეთვე არეულობისთვის წამქეზებელთ და იმათაც, ვინც თავის ნებით მიატოვებს მეცადინეობას. ადგილობრივმა მთავრობებმა უნდა გამოიკვლიონ, რომელმა მოხელემ მიატოვა სამსახური შიშისა ან სულმოკლეობის გამო და რომელმა შეგნებულად. პირველების უკანვე მიღება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ მათ წილი არ უდევთ კავშირში. მათ ჯამაგირი მიეცემათ გაფიცულ დღეების გამოკლებით. მთავარი მეამბოხენი და წამქეზებელნი და აგრეთვე ტელეგრაფის მავთულების დამგლეჯელნი და აპარატების გამფუჭებელნი სამართალში იქმნებიან მიცემულნი. სახელმწიფო სადგომები, სადაც მოხელენი ცხოვრობენ, უნდა დაიცალოს იმ ვადაზე, რომელიც დამოკიდებული იქმნება მათის ოჯახურს მდგომარეობაზე. იმ 500,000 მანეთიდან, რომელიც სამინისტროს მმართველის განკარგულებაშია, დახმარება აღმოუჩინონ იმ სულმოკლე მოხელეებს, რომელნიც შეინანიებენ და რომელნიც გაფიცვამდე ერთგულად და გულმოდგინეთ მსახურობდნენ.

ცირკულიარი ჰკიცხავს ადგილობრივ ფოსტის იმ მთავრობებს, რომელნიც შეთანხმებას ახდენდნენ გაფიცულებთან და ჯამაგირს ურიგებდნენ. ცირკულიარის ბოლოში მადლობა ეცხადებათ იმ მოხელეებს, რომელთაც არ შესწყვიტეს მუშაობა. სამინისტროს მმართველი აღთქმას აძლევს მათ, რომ სანამ შინაგან საქმეთა სამინისტრო ჩემს ხელში იქმნება, მანამდე არ დაგივიწყებთ თქვენაო.

დაატუსაღეს მუშათა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე ხრუსტალევ-ნოსარი და ბეჭდვით საქმის მუშების კავშირის თავმჯდომარე კისელევი.

საზოგადოების საყურადღებოდ.

გურიაში, ახვის სოციალდემოკრატიულ სარაიონო ორგანიზაციასთან, დაარსდა კომიტეტი. ამ კომიტეტს ხალხმა დაავალა, მიიღოს და დაანაწილოს ის ფული, რომელიც გროვდება სხვადასხვა ადგილას კაზაკების მიერ გადამწვარ-დაზარალებულ გურულთა სასარგებლოდ.

კომიტეტი მიმართავს თხოვნით რედაქციებს, საზოგადო დაწესებულებებს და კერძო პირთ, რომელთაც იკისრეს ფულის შეგროვება, საჩქაროდ მოაწოდონ უკვე შეგროვილი ფული, რადგან უსახლკაროდ დარჩენილი მცხოვრებნი უკიდურეს მდგომარეობაში არიან ჩავარდნილნი და საჭიროა დაუყოვნებლივ დახმარება. ზარალი დაახლოვებით 80 ათას მან. აღემატება. ნამდვილ ანგარიშს კომიტეტი ახლო მომავალში წარმოადგენს, როცა საზოგადოებასთან ერთად გადასინჯავს შემფასებელ კომისიის მიერ წარმოდგენილ სიას.

ფულის გამოგზავნა შეუძლია კომიტეტის თავმჯდომარის ადრესით: ოზურგეთი, ექიმ გიორგი კონსტანტინეს ძეს ჭოლოშვილს.

კომიტ. თავმჯდომარე გ. ჭოლოშვილი,
ხაზინადარი ნინო ნაკაშიძე.
წევრები: ისაკ ბასილაიშვილი, კარპე ბარამიძე, ამბაკო მგელაძე, ნესტორ ხაფთასი, გლახუნ ჩიტაიშვილი. *)

სოციალდემოკრატიული დრუჟინა

ს.-დემოკრატიულმა მუშათა ორგანიზაციამ გამოსცა შემდეგი განცხადება სოციალდემოკრატიულ დრუჟინის მოქმედების შესახებ ტფილისში:

სოციალდემოკრატიულ დრუჟინის შესახებ ყოველგან დიდი მითქმა მოთქმაა. ყველა მასზე ლაპარაკობს და მრავალნაირ ხმებს ავრცელებს. დრო არის ბოლო მოეღოს ამ ზღაპრებს და ნამდვილი ცნობები გამოცხადდეს.

აი ეს ცნობები.

აღმოსავლეთ კავკასიაში ატეხილმა სომეხ თათართა ჟლეტამ მოძრაობაში მოიყვანა ტფილისის პროლეტარიატი და მან გადასწყვიტა ამ საქმეში ენერგიულად ჩარევა. როგორი უნდა ყოფილიყო ეს ჩარევა? რასაკვირველია, მომრიგებელი, მშვიდობიანობის ჩამომგდები. სოციალდემოკრატიის მიზანია ყველა ერის მუშა ხალხი შეაერთოს, ნაციონალური შუღლი მოსპოს და კლასთა ბრძოლა აწარმოვოს. ამიტომ ჩვენ, ჯერ კიდევ 20 ნოემბერს, გავგზავნეთ დელეგატები განჯაში, იქ ორივე ამხედრებულ ბანაკებთან მოსალაპარაკებლად და სისხლის ღვრის თავიდან ასაცდენად. მაგრამ მესამე დღეს ხოცვა-ჟლეტამ ტფილისშიაც თავი იჩინა. 22 ნოემბერს დაიწყო მოედანზე სროლა, ქალაქის სხვადასხვა ნაწილებში მოკლეს მრავალი თათარი და სომეხი. 23-ს, დილით, გაიმართა მუშათა დიდებული მიტინგი ნაძალადევში და 20 ათასი კაცი თეთრი ბაირაღებით გაემართა ბრძოლის მოედანზე, შევიდა თათრის ნაწილში, მოიწვია თათრები და სომხები და მათთან ერთად გამართა მიტინგი. აქ წარმოითქვა სხვადასხვა ენაზე მრავალი შემარიგებელი სიტყვა. იმავე ღამეს ჩვენ დავტოვეთ იქ ჩვენი შეიარაღებული პატრულები. ამ ჩარევამ ის ნაყოფი მოიტანა, რომ იმ ღამეს არავინ არ მოუკლავთ და არც სროლა აუტეხიათ. ამ გარემოებით დაიმედებულმა, მეორე დილით, ჩვენმა პატრულებმა დატოვეს მოედანი. მათი წამოსვლა და სროლის ატეხა ერთი იყო. აშკარა შეიქმნა, რომ საქმე მეტად გამწვავებულია და საჭირო იყო განსაკუთრებული ზომების მიღება. ამ ზომების გამოსანახავად შეიკრიბა იმავე დილას ყველა ჩვენი პარტიულ ორგანიზაციები. ამ დროს გაზეთ „ვოზროჟდენიის" რედაქციიდან მოვიდა დელეგატი და გამოგვიცხადა: პოლიცმეისტერი ცისი ითხოვს თქვენთან მოლაპარაკებას, მას სურს დაეხმაროთ სომეხ-თათართა შორის მშვიდობიანობის ჩამოგდებაშიო. ეს ყველას გაგვიკვირდა და, შემდეგ დებატებისა, დავადგინეთ: პოლიციას ჩვენ ვერაფერში ვერ დავეხმარებით, მოგვცენ ჩვენ იარაღი, ან-და მხედრობის ის ნაწილი, რომელსაც ჩვენ დავასახელებთ და ჩვენ თვითონ შევუდგებით აღნიშნული მისიის შესრულებას. იქვე ამოვირჩიეთ სამი დელეგატი და გავგზავნეთ ცისთან მოსალაპარაკებლად. მოლაპარაკებას დაესწრნენ სხვა პარტიათა წარმომადგენელნიც და ყველამ მხარი დაუჭირა ჩვენს მოთხოვნილებას; თუმცა მისი და-

---

*) როგორც კი ფოსტა გაიხსნება, ჩვენ გავუგზავნით ოზურგეთში გურიის კომიტეტს იმ ფულს, რომელიც ჩვენს რედაქციას გადმოსცეს სხვადასხვა პირებმა გურულების სასარგებლოდ.

რედ.

ფელეტონი

წითელი დროშა შავი ზღვის ესკადრაზე

(შემდეგი.—იხ. „ივ." № 217).

ბარკასიდან ამოვიდა ხუთი აფიცერი, რომლებიც, მგონი, „პრუტზე" იყვნენ დატყვევებულნი. ყველა გაფითრებული იყო. ისე ამოვიდნენ გემზე, რომ კრინტი არ დაუძრავთ; მხოლოდ ერთმა აფიცერმა მოუხადა ქუდი მატროსებს.

მატროსებმა დააყენეს ყველა და დაუწყეს ჩხრეკა.

საინტერესო სურათი იყო,—თვითონ აფიცრები როგორა სწევდნენ ხელებს, უჩვენებდნენ ჯიბეებს და გამოჰქმულნი იდგნენ იმათ წინ, ვინც რამდენიმე დღის წინად მათი მონები იყვნენ. გაჩხრეკის შემდეგ, გაისტუმრეს სხვა დატყვევებულებთან ერთად.

შემდეგ ამოიყვანეს განთავისუფლებული მატროსები, რომელთაც სიხარულით მიეგებნენ „ოჩაკოველები" და დაუწყეს ერთმანეთს ხვევნა-კოცნა.

შემდეგ ამოვიდა შმიდტიც. სახეზე ჰმუნვა ეხატებოდა. ჩუმად გაიარა მთელი პალუბა, ავიდა კიბეზე და გაღმოდგა შუა ხიდზე. ცოტა ხანს ჩაფიქრებული იყო და მერე დაიწყო:

— ამხანაგებო! მე არ ველოდი იმ დამარცხებას, რომელიც ახლა გამოვიარე. არ მეგონა თუ ჩვენს გარშემო ასეთი სიბნელით მოცული მონები იქმნებოდნენ. მე იმედი მქონდა, რომ ყველა შემოგვიერთდებოდა და საერთო ძალით შევებმოდით უსამართლობას, მაგრამ ჩვენ, ძმები, მტრებად მიგვიღეს! რომელ კამანდასაც მივადექით, წყევა-კრულვას მითვლიდნენ და სამშობლოს მტერს მიძახდნენ. აი, ვისთანა გვაქვს საქმე. ძვირფასო ამხანაგებო! თუ ჩვენ ბედად გვხდა, რომ მარტო დავრჩით ბრძოლის ველზე, დაე, ვიბრძოლოთ, დაე, დავიხოცნეთ ნამდვილის რწმენით, რომ ვიბრძოდით თავისუფლებისათვის!.. თუ აქ ვერაფერს ვერ გავხდით, მაშინ წავიდეთ სხვა ქალაქში: ოდესაში, ფეოდოსიაში,—იქ ხელი მოვუმართოთ ხალხის ბრძოლას, ჩვენც მათთან ვიბრძოლოთ! გავშორდეთ ამ მონურ ქვეყანას, ამ დაწყევლილ ქალაქს, სადაც მეფობენ ძმათა გამყიდავნი, ჯაშუშები, ოპრიჩნიკები; სადაც არა აქვს თავისუფალ ხალხს ადგილი და წყევას გვითვლიან. ოოოჰ! წყეულიმც იყავ, მონათა ქვეყანავ!—შესძახა და გაიქნია მუშტები ქალაქისკენ. მერე წასქდა ტირილი და დასუსტებული დაეცა ერთ მატროსს გულზე. მატროსები მოეხვივნენ და დაუწყეს კოცნა.

ამ სურათის დანახვაზე თითქმის ყველას წასქდა ცრემლები, მაგრამ ეს სასოწარკვეთილება კი არ ნიშნავდა, არამედ—სიბრალულს თავიანთ მონა-ძმებზე.

შმიდტი გონს მოვიდა და მიჰმართა ხალხს:

„ამხანაგებო, მაპატიეთ, თუ სულ-მოკლეობა გამოვიჩინე რაშიმე! ძალიან დავსუსტდი, წავალ-ცოტა ხანს დავისვენებ''.

ამ დროს წინ წამოდგა „პატიომკინის" დეპუტატი:

— ამხანაგო შმიდტო! თქვენ სცდებით! „პატიომკინი" შემოგვიერთდათ! მოითმინეთ და ყველაფერს გეტყვით...

— არა, არა!—შესძახა შმიდტმა.—თქვენ ძმის მოღალატე, გამყიდავი ხართ! თქვენ მტრები ხართ! მე მეზიზღება თქვენთან ლაპარაკი! თქვენ წყევით გამომაგდეთ, როცა მოვადექი თქვენს ჯავშნოსანს.

— ამხანაგო შმიდტო! დამაცადეთ!

— არა! წადით! თუ არ გინდათ, რომ ძმის მოღალატე გერქვათ, წადით, დაიჭირეთ ყველა აფიცრები, „პატიომკინზე" აზწიეთ წითელი დროშა და მაშინ გელაპარაკებით, ახლა კი გამშორდით, მოღალატენო!

შმიდტი აღელვებული წავიდა ოთახში დასასვენებლად. შემდეგ მიჰმართა მატროსებს კაპიტანმა:

— ამხანაგებო! მე თანახმა ვარ შმიდტისა. თუ ჩვენ შევებრძოლეთ უსამართლობას, თუ ჩვენ მოვითხოვეთ შიმშილის, გაჭირვების, ერთი-ერთმანეთის ჩაგვრის მოსპობას, ხალხის უფლების აღდგენას, მის განთავისუფლებას და ამიტომ გაგვიცხა მონათა ქალაქმა, ამიტომ შეგვაქციეს ზურგი ჩვენმა ძმებმა, მაშინ, დაე, გავსწყდეთ ეს მცირე, მაგრამ თავისუფლებით გამსჭვალული ხალხი და არ დავნებდეთ კი უმრავლესობას, მაგრამ მონებს! ნუ თუ იმიტომ, რომ ჩვენ მოვითხოვეთ ცოტა რიგიან ბორშჩის მოცემას და სხვას, ამიტომ გვეძახიან სამშობლოს მოღალატეთ? არა! ჩვენ ვადგენთ არსებითს, აუცილებელ მოთხოვნილებას, ურომლისოდაც კაცს არ შეუძლიან ცხოვრება! და თუ ამ ბრძოლაში გვიწერია სიკვდილი, დაე, გავსწყდეთ! ისტორია არ დაგვივიწყებს! ისტორია დააფასებს ჩვენს თავდადებულ მსხვერპლს და ღირსეულ პატივსა გვცემს! იმ ძმათა მოღალატეთ კი სირცხვილი, ამხანაგებო! ჩვენ აღვსდგით თავისუფლების სახელით და ნურც ვუღალატებთ და ნუ დავუმორჩილებთ მას მონობას. ან გამარჯვება, ან სახელოვანი სიკვდილი! უმისოდ გველის სასირცხო სარჩობელა!..

— „ან სიკვდილი, ან გამარჯვება"!—დაიგრიალეს ერთხმად. რამდენიმე მატროსი გადაეხვია კაპიტანს და დაუწყო სიხარულით კოცნა. „პატიომკინის" დეპუტატს უნდოდა რამდენჯერმე სიტყვის თქმა, მაგრამ კაპიტანი არ აცლიდა. რამდენჯერმე დაიწყო, მაგრამ სხვებმა შეაწყვეტინეს. ყველა გადაწყვეტით თხოულობდა მისგან მათის აფიცრების დატყვევებას და „პატიომკინზე'' წითელ დროშის აშვებას. კამათის შემდეგ, გადასწყვიტეს, წასულიყვნენ მებრძოლი რაზმით ,,პატიომკინზე'', აფიცრები დაეჭირათ და კამანდა შემოეერთებინათ. ხელად ჩასხდნენ შეიარაღებული მატროსები და მიადგნენ ,,პატიომკინს''. წასვლის დროს „ოჩაკოველებს" დაუძახა ,,პ—ის'' დეპუტატმა, რომ ზარბაზნები მოებრუნებინათ მათკენ, თუ ,,პ—ის'' კამანდა წინააღმდეგობას გაუწევდა.

ჩვენ ყველანი მოვცვივდით იმ მატროსთან, რომელიც ბინოკლით იყურებოდა. ის გაიძახოდა:

— მიიღეს ჩვენი დეპუტატები; აფიცრებს ატყვევებენ.

ყველა ამ განცხადებას დიდის აღტაცებითა და ურას ძახილით ეგებებოდით.

— წითელი ბაირაღი მოიტანეს! დაიძახა მზვერავმა.

ერთი წამიც—და ისტორიულ ჯავშნოსანზე აიმართა წითელი დროშა. ყველა დიდის აღტაცებით მისჩერებოდა, თუ როგორ მიფრიალებდა მაღლა ჰაერში თავისუფლების ემბლემა.

როგორც ,,ოჩაკოვიდან'', ისე ,,პატიომკინიდან", ნაღმოსნებიდან და ბულვარიდან ხალხი წითელის დროშის ქვეშ გრიალებდა ,,ურას'' .. ის გრძნობა, ის აღტაცება თვითონ უნდა გამოსცადოს კაცმა, თორემ სიტყვით მეშინია, რომ სისრულით ვერ გადმოგცეთ.

ჩქარა მოიყვანეს დატყვევებული აფიცრებიც. გაჩხრიკეს და გაგზავნეს სხვა დატყვევებულებთან.

მოყვანილ აფიცრებს მატროსები უცხადებდნენ:

— თუ შმიდტისთვის ცუდი რამ განგიზრახავთ, სიკვდილით დასჯა მოგელით! აფიცრები მშვიდობიანად ისმენდნენ მათს განცხადებას. ჩქარა გამოვიდა შმიდტიც. სახეზე სიხარული ეტყობოდა, რომ დაინახა „პ—ზე" ბაირაღი. ცოტა ხანს შემდეგ გამოუცხადა ,,პუშკინის'' პასაჟირებს, რომ შეუძლიანთ განაგრძონ გზა.

პასაჟირები გამოემშვიდობნენ ყველას, ჩასხდნენ ბარკასში და წავიდნენ ,,პუშკინისკენ.'' წასვლისას შმიდტმა მიჰმართა:

— ამხანაგებო და მოქალაქენო! თუ შემთხვევა მოგვეცა და თქვენთან მოვედით რომელსამე ქალაქში, იცოდეთ წინადვე, ნუ შეგვეშინდებათ და შესაფერი დახმარებაც აღმოუჩინოთ ერთმანეთს!

პასაჟირებიც სიტყვას აძლევდნენ. ერთი მათგანი წამოდგა და შესძახა კომანდას:

— ამხანაგებო! გაუფრთხილდით თქვენის კამანდირის სიცოცხლეს და უბრალოდ ნუ დაჰკარგავთ ძვირფას კაცს!

კამანდამ შესძახა „ურა" და მადლობა გადაუხადა.

„პუშკინის" პასაჟირთაგან, რომლებიც განვაგრძობდით გზას, დაერჩით „ოჩაკოვზე" მხოლოდ ორი კაცი. ერთი ქართველი სტუდენტი და მე. ჩვენ გადავსწყვიტეთ დარჩენა, რათა ასეთ დიდებულ საისტორიო მოვლენაში ბოლომდის ვყოფილიყავით. გვინდოდა ჩვენის თვალით გვენახა სინამდვილე, რომ შემდეგ ჭორებს ადგილი აღარ ჰქონოდა.

ჩვენ გამოვუცხადეთ კაპიტანს, რომ ვრჩებით აქ და საწინააღმდეგო ხომ არაფერი არ გქონებათ.

კაპიტანი სიამოვნებით დაგვთანხმდა.

„პატიომკინიდან" კიდევ მოიყვანეს შვიდი დატყვევებული აფიცერი. სულ თორმეტი იყო.

პირველად კიბეზე ამოიყვანეს ექვსი და გაისტუმრეს სატუსაღოში. ბოლოს ამოვიდა მეშვიდეც, შუახნის, ჩასუქებული კაცი. როცა ამოდიოდა, მატროსებმა მიაძახეს:

— ხულიგანი მოდის, ხულიგანი!

გააჩერეს და დაუწყეს ჩხრეკა. ის შეშინებული იძახოდა:

— არა, ბატონებო, არც ფული მაქვს...

— ჩვენ ფული კი არ გვინდა, არამედ—თავისუფლება!—მიაძახა ერთმა მატროსმა.

— მე რას მერჩით?—განაგრძო აფიცერმა,— მე ვიცავ მეფესა და მამულს და ამისათვის...

— ჩვენც ვიცავთ მეფესა და მამულს, მაგრამ თქვენ სხვანაირად გესმით მეფე და მამული და ჩვენ კი სხვანაირად.

— ხულიგანს რად მეძახით?

— შენ გეძახით იმას, რაცა ხარ,—მიაძახა კომანდამ.

ახლა ჯერი მიდგა ჯავშნოსან „როსტისლავზე". გაგზავნეს დეპუტაცია. „როსტისლაველებმა" მიიღეს; ჩვენ სიხარულმა აგვიტაცა და საერთო „ურა" შევსძახეთ. „პატიომკინელებიც" დიდის აღტაცებით მიესალმენ.

გავიდა ცოტა ხანი და „როსტისლავზე" აამართეს წითელი დროშა. ამის დანახვაზე შეიქმნა „ურას" გრიალი წითელ-დროშიან გემებზე და ბულვარდში; მაგრამ ეს საერთო გრიალი ხელად შესწყდა, როცა დავინახეთ, რომ დროშა ისე ძირს ჩამოუშვეს.

მზვერავმა დაიძახა:

— დროშა დახიეს!

ჩვენ ხმა ჩაკმენდილნი ვუცდიდით იმის გაგებას, თუ რა მოხდა.

დეპუტაცია დაბრუნდა უკან და გამოაცხადა, რომ ერთი ნაწილი შემოგვიერთდა, მაგრამ მოწინააღმდეგე უმრავლესობამ თავისი გაიტანა და წითელი ბაირაღი არ გააშლევინაო!

ყველას მწუხარება დაეტყო. შმიდტი კი იმედოვნად ამბობდა:

— არა უშავს-რა! დაე, ნუ შემოგვიერთდები-

კმაყოფილება არავის არ სჯეროდა, მათ შორის არც ჩვენ. ცისი წავიდა ნამესტნიკთან და დაბრუნდა მოულოდნელი პასუხით: ნამესტნიკი თანახმაა სოციალდემოკრატებს იარაღი მისცეს და ითხოვს ერთ მათ წარმომადგენელს მოსალაპარაკებლათო. მასთან წავიდა ერთი დელეგატთაგანი, ამხანაგი რამიშვილი, რომელსაც ნამესტნიკმა განუცხადა: ჩემი აზრით, ერთად ერთი სოციალდემოკრატიაა ნეიტრალური პარტია ამ საქმეში და ამიტომ გადავწყვიტე თქვენი მოთხოვნილება დავაკმაყოფილოვო. რა პირობით იძლევით იარაღს? შეეკითხა ჩვენი ამხანაგი. იმ პირობით, რომ როცა ეს საფრთხე გაქრება, იარაღს დააბრუნებთო. ამხანაგი რამიშვილი დაეთანხმა და იმ დღეს მოგვცეს 500 თოფი (ბერდანკა) და ოც-ოცი პატრონა თოფზე. ამავე დროს ჩვენმა ორგანიზაციამ დაადგინა: სომეხ-თათართა შეტაკების რაიონი შეზღუდოს თათრის მოედნით, ქალაქის სხვა ნაწილებში არ დაანებოს არც სომეხს და არც თათარს ერთმანეთზე თავსდასხმა, დაიფაროს თათარი სომეხთა უბნებში, ხოლო სომხები თათართა უბნებში; თვით ბრძოლის რაიონში ჩადგეს შეიარაღებულ ბანაკთა შორის და არ მიუშვას ერთი მეორეზე. და როცა ამ გზით ალგზნებული ცეცხლი განელდება, შერიგებაც მოხდებაო. აი, ერთად ერთი ჩვენი როლი, ერთად ერთი ჩვენი დანიშნულება. და ეს განა პოლიციური როლია, როგორც ამას „ვოზროჟდენიე“ და სხვა ჩვენი მტრები სწერენ და ქადაგებენ? რასაკვირველია არა! ეს არის როლი მომრიგებელი, მფარველი და ეს ასეც გაიგეს მაშინვე მცხოვრებლებმა.

— შეიარაღება რაღა საჭირო იყო? კითხულობენ იგივე არამკითხე მოამბენი. იარაღი ავიღეთ მხოლოდ თავის დასაცველად და დასაცავად იმ პირთა, რომელთა გადაყვან-გადმოყვანა ჩვენ ვიტვირთეთ. რაკი ჩვენ მოგვენდო თათარი სომეხთა უბანში და სომეხი—თათრებში, განა მოვალე არ ვიყავით მათი დასაფარავი ზომებიც მიგვეღო?

ერთი სიტყვით, ჩვენი მოწოდება იყო მოწოდება მშვიდობიანი და კიდევაც შევუდექით ამის შესრულებას. იმავე ღამეს, 22-ს, ჩვენ დავაყენეთ აქა-იქ პატრულები, ხოლო მეორე დღეს თათრის ნაწილებშიაც ჩავაყენეთ ჩვენი მილიციონერები. ამასთანავე შევადგინეთ სანიტარული რაზმები დაჭრილთა შესახვევათ და მოსავლელათ. ამ ზომებმა ნაყოფი გამოიღო მაშინვე. მთელ ქალაქში შეწყდა თავსდასხმა. არც ერთი თათარი აღარ მოუკლავთ სომეხთა უბნებში. თვით ბრძოლის რაიონში შეწყდა ყოველნაირი სროლა, მოხდა მხოლოდ ერთი მკვლელობა თათრების მხრივ და ისიც ქურდულათ, ხანჯლით, რაც ხშირათ ხდება მშვიდობიან დროსაც. ქალაქის ცხოვრება ჩადგა ჩვეულებრივ კალაპოტში. ქუჩებში დამყარდა სრული წესიერება. ჩვენს დრუჟინას დიდი ნდობით ეკიდებოდნენ, როგორც თათრები, ისე სომხები და სხვა მცხოვრებლები. უკმაყოფილონი იყვნენ მხოლოდ რეაქციონერები და ხოცვა-ჟლეტის მწყურვალენი. ახმაურდნენ ხულიგნები, ოფიცრები, კაზაკები და მათი ამყოლ-დამყოლნი. ოფიცრებმა ჩვენი დრუჟინა თავის თავის შეურაცხყოფად მიიღეს და მოითხოვეს ჩვენთვის იარაღის აყრა. ამ ვაჟბატონებისთვის შეურაცხყოფა არ ყოფილა მათი მოქმედება ბაქოს, განჯას და სხვა ალაგების ხოცვაში, როცა ისინი არა თუ უშლიდენ ხოცვასა და რბევას, არამედ შორიდან გულ-ხელ დაკრეფილი უცქეროდენ და, როცა ტფილისში ეს ჩვენ შევაჩერეთ, როცა წესიერება ამ მხრივ დავამყარეთ—აფიცრები გაიძახიან—ეს ჩვენი შეურაცხყოფააო! ახმაურდენ ბურჟუებიც, ამათაც მოგვთხოვეს იარაღის აყრა. გაზეთ „ვოზროჟდენიემ“ გამოილაშქრა კუდის ქიცინით, ვითომ და ამხანაგურათ, ნამდვილათ კი სამტროთ. ამ ახირებული გაზეთის ახირებული მესვეურნი გატაცებული თხოულობდნენ—იარაღი ჩვენს პარტიასაც მიეცითო, ხოლო ახლა კი აცხადებენ, იარაღის დაყრა სჯობიაო! რა ეხარჯვით, რა ენაღვლებათ! ვიღაც ხულიგნებმა, „არშალუისის“ ფურცლებზე, ჩვენს წინაღმდეგ საზიზღარი ცილისწამება წამოაყენეს. მთავრობასთან რაღაც ჩუმი შეთანხმება უნდა ჰქონდეთო! ამითაც არ დაკმაყოფილდნენ ჩვენი მტრები და ქალაქის საბჭოს დარბაზში განგაში ასტეხეს: სოც.-დემ. დრუჟინამ სოფლებიდან თათრები შემოუშვა, ვერ გვიფარავსო! განა ჩვენი მიზანი იყო ეს? განა სომხები არ შემოდიან მატარებლებით?

როგორც ხედავთ, ჩვენმა შეიარაღებამ დააფრთხო ყველა ჩვენი მტერი და ჩვენს დასაცემათ წამოაყენეს სხვადასხვა ზომები: ოფიცრებმა მუქარა, ხულიგნებმა—დარბევა, ბურჟუებმა—ცილისწამება და სახელის გატეხა. ჩვენ ამას, რასაკვირველია, ყურადღება არ მივაქციეთ და ჩვენი დანიშნულების შესრულება განვაგრძეთ. ჩვენ კავშირი დავიჭირეთ თათართა და სომეხთა კომიტეტებთან და მათი თანხმობით ვმოქმედებდით. და, რადგანაც ჩვენს მილიციონერებს და სომხის შეიარაღებულთ ერთმანერთში ხშირათ აყალმაყალი მოსდიოდათ, ჩვენ ეს გავაწესრიგეთ ორგანიზაციულათ, ე. ი. პირობით შევეკარით „დაშნაკცუტუნელთა“ კომიტეტს და ამით მოვსპეთ მათთან შეტაკება. თათრებთან ასეთი პირობის შეკვრას საჭიროთ არ ვთვლიდით, რადგანაც მათთან უთანხმოება არ გვქონდა.

სანამ ორივე მოპირდაპირე ბანაკი ჩვენს შუამავლობას სცნობდა, მანამდის ჩვენ მოვალე ვიყავით დაჭრილი ადგილი არ დაგვეტოვებინა. 27 ნოემბერს, დილიდან თათრის ნაწილში რაღაც არა ჩვეულებრივი მოძრაობა იყო. იმ დილას, როგორც წინა დღეებში, ჩამოსულიყვნენ სოფლიდან შეიარაღებული თათრები და ვორონცოვის ქუჩა სავსე იყო ხალხით. საათის 3—4-ზე შეიარაღებული თათრები გამოჩნდნენ მოედნისაკენ და ჩვენს მილიციონერებს თათრულათ რაღაც ლაპარაკი დაუწყეს. ერთი თათარი ძლიერ გაჯავრებული იყო ერთი მილიციონერის პასუხით. ჩვენ ის როგორც იყო დავამშვიდეთ და უკან დავსწიეთ. შემდეგ ჩხუბი ასტეხა მეორემ და რაღაცას იმუქრებოდა. მივედით იმასთანაც და ვამშვიდებდით, მაგრამ არ ცხრებოდა: „მიერიდან აქ არ დავინახოთ სოციალისტები“,— გამოგვიცხადა მან. ამ ლაპარაკის დროს თათრებმა უცებ უკან დაიწიეს, წინ დარჩა ის გაჯავრებული თათარი და ჩვენს თვალწინ იმავ წამს თოფი ისროლა. მისი სროლა და საერთო სროლის ატეხა ერთი იყო. ისროდნენ მოედნისაკენ. მილიციონერების ერთი ნაწილი უკან დაექანა, მეორე ნაწილი კიდევ უფრო წინ წამოვიდა სასროლათ. ჩვენ მაშინვე უკან დავსწიეთ ესენიც და გამოვუცხადეთ—არ ესროლათ, მაგრამ ზევრმა მაინც ისროლა ჰაერში. ჩვენ სროლა არ დავანებეთ ჩვენი პოზიციიდან არც სომხებს. ესენი გორებიდან ესროდნენ. ჩვენ რომ თათრებისათვის გვესროლა, ერთს მაინც მოხვდებოდა, როგორც ერთ ჩვენ ამხანაგს მოხვდა მათი ტყვია, მარა თათართაგან არავინ დაშავებულა. ჩვენ მივედით სამშვიდობოთ და არა საომრათ. რაკი ისინი თავს დაგვესხენ, ე. ი. ჩვენი შუამავლობა არ მიიღეს, ხოლო ჩვენ მათთან ბრძოლა არ გვსურდა—ცხადია, უნდა მოვშორებოდით და ჩვენი მისია ასრულებულად გამოგვეცხადებია ამ რაიონში მაინც. კიდევ ჩვენი პატრულების იქ გაჩერება ნიშნავდა ორში ერთს: ან ჩვენების კიდევ დახოცვას, ან და მათთან ბრძოლაში ჩათრევას, რაც ასე სწადდათ ჩვენს მტრებს. ეს ჩვენ არ მოვიმოქმედეთ, ამის პასუხისმგებლობა არ ვიტვირთეთ და ეს ვაცნობეთ, როგორც თათრების, ისე სომხების კომიტეტებს და ნამესტნიკს. მოედანი დავცალეთ და იქ სალდათები ჩააყენეს. მილიციონერთა მცირე ნაწილი დავტოვეთ მოედნის ზემოთ მხოლოდ მეთვალყურეთ, რომ თათრები ქალაქში არ შემოსულიყვნენ ასაკლებათ. დანარჩენები დავაყენეთ ქალაქის სხვა ნაწილებში, აქეთ ხოცვა-ჟლეტის თავიდან ასაცილებლათ.

ამნაირათ, თათრის ნაწილი დავტოვეთ მებრძოლთა ანაბარად და იქ კიდევაც გაიმართა დიდი შეტაკება. 28 ამ თვეს მთავრობამ შემოთვალა: თოფები უკან ჩაგვაბარეთ, ხვალიდან ქალაქში აიკრძალება კერძო პირთა ყოველნაირი შეიარაღება, ქალაქს ჯარები დაიჭერენო. ჩვენ ვიფიქრეთ, რაკი ქალაქს სამხედრო პატრულები დაიცავენ ჟლეტისაგან, ჩვენი პატრულები საჭირო აღარ არის და გუშინ დილით ისინი მოვხსენით. მთავრობამ არ შეასრულა თავისი დაპირება. ჩვენ პატრული მოგვახსნია, თავისი არ დააყენა და აი, გუშინვე დაიწყო ჟლეტა: მოკლეს ექვსი თათარი, ნიკოლოზის ქუჩის ბოლოს, ხოლო ერთი ვანქის ქუჩაზე, რის გამო ჩვენი პატრულები ავხსენით მოედნის პოზიციიდანაც. აქედან ცხადია, თუ რა დიდ როლს თამაშობდა ჩვენი დრუჟინა დამშვიდების საქმეში: როგორც კი ის ქალაქიდან გავიდა—სისხლის ღვრა დაიწყო. დაიწყო, მაგრამ კი ვერ გაგრძელდება, მას ისე მოვსწყვიტეთ წელი, რომ არა გვგონია ის ოდესმე ტფილისში ფეხზე წამოდგეს. ყველამ დაინახა აქ ისეთი ძალა, რომელსაც შესძლებია გაჭირების დროს სისხლის მოტრფიალეთ ლაგამი ამოსდვას და ენებათა ღელვა დააცხროს. დაინახა მთავრობამაც, რომ, თუ ის არ შეასრულებს თავის მოვალეობას,—სოციალდემოკრატია შეასრულებს. თვით ის ღენერლები, რომლებიც სეირივით უცქეროდნენ ძმათა-ბრძოლას, ახლა, სოციალდემოკრატიის ძალდატანებით, ჯარებს გზავნიან ბრძოლის დასაცხრომათ. ისინი იხვეწებიან, ოღონდ სოციალდემოკრატები ნუ იქნებიან და ჩვენ ვიცითო. სად, რომელ ქალაქში იხვეწებოდნენ ისინი, ჟლეტას ჩვენ გავუმკლავდებითო?

ახლა საშიშარია არა თათართა შემოსევა, არამედ ხულიგან-კაზაკთა თავაშვებულობა. ქუთაისში, ფოთში, ბათომში კაზაკები თავს დაესხნენ მოქალაქეთ და დახოცეს. საჭიროა სოციალდემოკრატიული დრუჟინა ამ ბარბაროსთა წინაღმდეგ და ამ საქმისაკენ მოვუწოდებთ ყველა ამხანაგთ, ყველა მებრძოლთ. ეს იქნება დრუჟინა არა მშვიდობიანობისა, არამედ ბრძოლის, რეაქციონერთა დამარცხებისა.

ან! ჩვენ მხოლოდ დრო არ უნდა დავკარგოთ და, რაც შეიძლება „პატიომკინი“ ჩქარა უნდა შევაიარაღოთ. აბა, ეკიპაჟელნო, ვინც აქ არიან ახლავე წადით და იარაღი და ზარბაზნების საკეტები „პატიომკინზე“ გადმოზიდეთ! ჩქარა, დროს ნუ დაჰკარგავთ!..

რამდენიმე მატროსი ხელად ჩასხდნენ კატერში და გაემურნენ შმიდტის ბრძანების ასასრულებლად.

მატროსები გამხნევდნენ და იმედს არა ჰკარგავდნენ. ყველა მოძრაობდა, ყველა რაღაცას აკეთებდა. იმათ ცქერაზე კაცს ეგონებოდა, ამ ერთ გემზე მთელი ქვეყნის სიცოცხლე დუღსო.

მათი შეხედვა კაცს პატივისცემას აღუძრავდა მათდამი. ყველა ისე მოქმედებდა, როგორც ერთი კაცი: არავითარი აზრთა წინააღმდეგობა არ სუფევდა; ყველა თითქოს ერთ ზომაზე და ერთნაირად იყო შეგნებული და, არა თუ იდეური, გარეგანი შეხედულობაც ერთნაირი ჰქონდათ; ერთნაირი ტანისამოსი, ყველა ერთი ასაკისა!..

ამ მოქმედებასა და მზადებაში სამის ნახევარიც გახდა. მე დავდიოდი და ვეკითხებოდი მატროსებს, თუ სად რა მოხდა, რომ დაწვრილებით გამეგო მათი ისტორია. ყველას სწამდა, რომ ისე არ დამარცხდებოდნენ, როგორც კრონშტადტში. სწამდათ, რომ გაიმარჯვებდნენ. მე კი უფრო უიმედოდ ვუცქეროდი ბოლოს.

მე და ჩემი ამხანაგი ვიდექით ერთ ზარბაზანთან და მატროსი სროლას გვასწავლიდა. ამ დროს მოვიდა შმიდტი და გვითხრა:

— რათა ხალხმა და თვითონ მთავრობამაც არ იფიქრონ, რომ აქ გარეშე პირები არიან და აღელვებენ მატროსებს, ამიტომ გირჩევთ, ნაპირზე გადახვიდეთ.

ჩვენ დავსთანხმდით და გავემზადეთ წასასვლელად.

— გთხოვთ, ვალად დამდოთ, მოგვმართა შმიდტმა,—ქალაქში თუ შეხვალთ, დეპეშას გაგზავნით და გაგზავნეთ ოდესაში.

— დიდის სიამოვნებით!—ვუპასუხეთ ჩვენ.

შმიდტი შევიდა თავის ოთახში, დასწერა ხელად და გამოგვიტანა. უგზავნიდა ოდესაში თავის ნაცნობთ. შიგ მხოლოდ ერთი სიტყვა ეწერა: „Удача“.

ჩვენ ჩავსხედით კატერში, რომლითაც მუსიკა მიდიოდა ეკიპაჟში. ჩქარა დავიძარით, მუსიკამ დაუკრა „ბოჟე ცარია ხრანი“, შემდეგ მარში. რამდენმამე კაცმა სთქვა მარსელიეზა დავუკრათო, მაგრამ სხვები არ დასთანხმდნენ:

— ჯერ „ბოჟე ცარია ხრანით“ გადმოვზიდავთ და მერე მარსელიეზასაც დავუკრავთო.

სადაც გავიარეთ, ყველგან „ურას“ ყვიროდნენ, გარდა იმ გემებისა, რომლებიც არ მიემხრნენ „ოჩაკოვს“.

იქავე ფილუგით ცურავდა ათიოდე მატროსი ანდრეევის ბაირაღით; ესენი მიდიოდნენ ყველა გემებთან და ურჩევდნენ, რომ „სამშობლოს მტრებს“ არ მიმხრობოდნენ და ისევ მთავრობას დამორჩილებოდნენ. ამნაირად გაიყო მთელი ესკადრა ორ მოწინააღმდეგე ბანაკად.

ჩვენ მივუახლოვდით ეკიპაჟს. იქ მაღლა კონცხზე ფრიალებდა წითელი დროშა. მთელ გორაზე გადმომდგარიყვნენ ეკიპაჟელები, მოქალაქეებში არეული და, როცა დაინახავდნენ წითელ ბაირაღიან კატერს ან ფილუგას, „ურას“ იძახდნენ, გაუმარჯოს თავისუფლებას! გაუმარჯოს „ოჩაკოვს“ და „პატიომკინს“.

ჩვენ მივადექით ნაპირს და გადავედით. ნაპირიდან დავინახეთ, რომ რეიდის ბოლოში ხუთ გემს კიდევ ეჰმართა წითელი ბაირაღი. ზოგი ნაღმოსანი იყო, ზოგიც ტრანსპორტი და კრეისერი.

სამ საათზე მოწინააღმდეგე ძალები მშვიდობიანად განაწილდნენ. სამი საათიდან კი დაიწყო ის, რაც თავის სიდიადითა და სისასტიკით ჰფარავს მთელის რუსეთის რევოლუციონურ მოძრაობას და, შეიძლება, ცუსიმას ბრძოლასაც.

ლ. მეტრეველი.

(დასასრული იქნება)

რუსეთი

ველიუნიდან მუშათა დეპუტატების საბჭომ შემდეგი დეპეშა მიიღო: „ღრმეს მადლობას ვუცხადებთ მუშათა დეპუტატების საბჭოს, რომელმაც გონიერ ბრძოლით დაიცვა პოლონელთა მისწრაფება—**პოლონეთის ავტონომია**“. ხელს აწერენ ველიუნის მაზრისა და ქალაქის არჩეული წარმომადგენელნი.

◆ მილიონერმა ნობელმა რუსეთის სახელმწიფო ბანკიდან თავისი 2 მილიონი მანეთი გაიტანა და **საზღვარ გარედ გაგზავნა შესანახად**. ამის გამო ნობელი ვიტტემ დაიბარა და სთხოვა, ფული ნუ მიგაქვთო, მაგრამ „ნავთის მეფემ“ განაცხადა, ამჟამად რუსეთში ისეთი მდგომარეობაა, რომ ფულის შენახვა რუსეთში სახიფათოაო. ვიტტემ ბოლოს სთხოვა, ჩვენს ლაპარაკს ნურავის შეატყობინებთო. ეს ამბავი მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ რუსეთის სახელმწიფო ბანკში ფულის შენახვა მართლა საშიშოა.

◆ **მანათიც გაიფიცა.** რუსეთის რენტა საოცრად დაეცა. რუსეთ-იაპონიის დროს რენტის კურსს 83-ზე ქვევით არ დაუწევია, ახლა კი მასში მხოლოდ 74 მან. იძლევიან.

◆ **ფინანსიური გრიგალი.** დღეს თუ ხვალ, რუსეთის სახელმწიფოს გაკოტრება მოელის. მთელ რუსეთში დიდი ფაცა-ფუცი ატყდა. მარტო პეტერბურგში სახელმწიფო ბანკიდან ორიოდე დღეში 40 მილიონი მანეთი გაიტანეს.

◆ **შმიდტი ცოცხალია.** რუსეთის გაზეთებმა ხმა გაავრცელეს, შმიდტი უკვე ჩამოარჩვესო. ეს ამბავი, საბედნიეროდ, ტყუილი გამოდგა. ამჟამად შმიდტი და იმის 17 წლის შვილი სევასტოპოლში ჯავშნოსან „როსტისლავ“-ზეა დაპატიმრებული. ისიც ტყუილია, ვითომ შმიდტი დაჭრილი იყოს. ისიც ტყუილია, ვითომ ბრძოლის დროს შმიდტს მატროსის ტანისამოსი გადაეცვას და გაპარულიყოს. შმიდტს ტანისამოსის გამოცვლა და გაპარვა აზრადაც არ მოსვლია. ახლა „ოჩაკოვ“-ზე წითელ დროშის ჩამოშვების ამბავიც გამოირკვა. ბრძოლის დროს დარაჯებს ერთი დაპატიმრებული ოფიცერი გამოჰპაროდათ, რომელსაც წითელი დროშა ჩამოეშვა და თეთრი აეფრიალებინა, მაგრამ აჯანყებულებმა ეს ამბავი მაშინვე შეიტყეს და წითელის დროშა ისევ აუშვეს. აფიცერის ვერაგულმა საქციელმა მაინც თავისი გაიტანა: ნაპირებიდან და სხვა გემებიდან „ოჩაკოვ“-ზე რომ თეთრი დროშა დაინახეს, შედრკნენ; ამითი მთავრობამ ისარგებლა და ბოლოს თავისი გაიტანა. მოკლულია 200-ზე მეტი.

◆ „ვოზროჟ“ გადმოგვცემს, რომ ხარკოვში 24 ნოემბერს ქუჩებში **გამოვიდა ჯარი წითელი დროშით**, მათ შეუერთდა მუშები და მცხოვრებნი და „მარსელიეზას“ სიმღერით ქუჩა-ქუჩა იწყო სიარული. თავზარდაცემულმა **ადმინისტრაციამ ქალაქის მმართველობა გადასცა აჯანყებულთ, რომლებმაც დააარსეს დროებითი მთავრობა**, შეიარაღებული სახალხო მილიცია და თვითონ მშვიდობიანურ მუშაობას შეუდგნენ.

◆ ერთ მსხვილ ბობოლას, რომელსაც წარსდგომია ფ.-ტელ. მოხელეთა დეპუტაცია, უთქვამს, რომ მთავრობას არ შეუძლიან **ჯამაგირები** მოუმატოს ფ.-ტელ. მოხელეებს, რადგანაც **გადასახადების მოკრების იმედი არა აქვსო.**

◆ „სვობოდნოე სლოვოს“ გაუგონია, რომ **მინისტრი დურნოვო სამსახურს თავს ანებებსო.**

◆ **გლეხთა მოძრაობა.** ტამბოვისა, პენზისა, სარატოვისა და ზოგიერთ სხვა გუბერნიებში გლეხთა მოძრაობამ უმაღლეს წერტილამდის მიაღწია. მთავრობა ნამდვილ ბარბაროსულ ზომებს ხმარობს გლეხთა დასამშვიდებლად. სარატოვის გენ. გუბერნატორმა, სოც.-რევოლუციონერის ტყვიით განგმირულმა სახაროვმა, საპყრობილეები გაავსო დამახინჯებულ და დასახიჩრებულ გლეხებით. სადაც სახაროვი გაჩნდებოდა თურმე თავის ამალით, იქ გლეხთა ყვირილი, ტირილი და კვნესა ასტყდებოდა. სახაროვს მხოლოდ ერთი საშუალება ჰქონდა გლეხების „მოსარჯულებლად“: მოაგროვებდა გლეხებს, მიუსევდა კაზაკებს და იქვე, თავის თვალწინ, ისე მხეცურად აცემინებდა, რომ ირგვლივ ღრიალი იდგა თურმე. ტამბოვის გუბერნატორი უარესად იქცევა. ერთ მხარეს დააყენებს გლეხებს, მეორე მხარეს — კაზაკებს და კითხულობს, ვინ არიან თქვენ შორის პროპაგანდისტებიო. თუ გლეხებმა უარი სთქვეს პროპაგანდისტების დასახელებაზე, კაზაკები თოფებს უშენენ და ყველას იქვე ხოცავენ. მერე კაზაკები ნავთით ხელში სოფელს ოთხივე მხრიდან უვლიან და მთელ სოფელს სწვავენ. რუსეთის გაზეთები სავსეა მთავრობის მხეცურ მაგალითებით. ზოგი გაზეთი მონღოლთა დარბევას იგონებს და ამტკიცებს, რომ მონღოლებს ისე არ უწამებიათ რუსი გლეხი, როგორც გენ.-გუბერნატორები აწამებენო.

—:—

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო! თქვენს პატივცემულ გაზეთში პირველ დეკემბერს დაბეჭდილი იყო ამბავი შესახებ იმ შეტაკებისა, რომელიც მოუხდათ სოფელს ტირძნისში სამს დრაგუნს გლეხკაცებთან და რომელსაც შედეგად მოჰყვა სიკვდილი ძმათ ტატო და დექსო გოგინაშვილებისა. შეტაკების მიზეზად წერილში მოყვანილია ის გარემოება, ვითომც ამ სამი დრაგუნისათვის „პირობით მე უნდა მეძლია საჭმელ-სასმელი, ისინი კი, ამას მიუხედავად, გლეხებს არბევდენ“, რასაც უეჭველად უნდა გამოეწვია მოხსენებული უბედურება. გამოდის, რომ მკვლელობის თავი-და-თავი მიზეზი იყო უსმელ-უჭმელობა დრაგუნებისა, და ამათ დამშევის ბრალი მედება მე. ეს სიმართლეს მოკლებულია. მე საჭიროდ ვრაცხ გამოვაცხადო, რომ ზემოხსენებულნი დრაგუნის სალდათნი ჩემ ხარჯზე არ ყოფილან, ისინი იყვნენ სახელმწიფო ხარჯზე,— მათ საჭმელ-სასმელი ხაზინიდან ეძლეოდათ.

მარიამ როსტომის ასული სულხანიშვილისა.

დროებითი რედაქტორი **ფ. გოგიჩაიშვილი**
გამომცემელი **თ. პავლე ვ. თუმანიშვილი.**

გამოსადეგი ცნობები

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა
15 ოქტომბრიდან.
(ადგილობრივის საათით).

ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. და 58 წ.; 2) სამგზავრო № 6 დილის 8 ს. და 46 წ.; 3) საქონ.-სამგზავრო № 18 დილის 11 ს. და 38 წ.; 4) სწრაფი № 20 მოსკოვამდის (მარტო სამშაბათობით) საღამოს 6 ს. და 33 წ.;

ბათუმს: 1) სამგზავრო № 7 საღამოს 10 ს. და 54 წ.; 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 12 ს. 53 წ.; 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. და 5 წ.;

ერევანს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 12 ს. და 10 წ.; 2) საქონ. სამგზავრო № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. და 11 წ..

ტფილისში ჩამოდის:

ბათუმიდან: 1) სამგზავრო № 8 ნაშუადღევის 1 ს. 29 წ.; 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. და 9 წ.; 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. და 42 წ.;

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 მოსკოვიდან (მხოლოდ პარასკევობით) ნაშუადღევის 2 ს. და 28 წ.; 2) საფოსტო № 3 შუადღ. 12 ს. და 8 წ.; 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. და 29 წ.; 4) საქონ. სამგზავრო № 17 ღამის 10 ს. და 28 წ.;

ბათუმიდან გამოდის: 1) სამგზავრო № 8 ღამის 12 ს. და 30 წ.; 2) საფოსტო № 4 დილის 6 ს. და 13 წ.; 3) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. და 22 წ.;

ქობულეთისაკენ: დილის 10 ს. 28 წ.

ნატანებისკენ: ნაშუადღევის 2 ს. და 58 წ.

ბათუმში ჩადის:

ტფილის-ბაქოდან: 1) სამგზავრო № 7 დღის 11 ს. და 31 წ.; 2) საფოსტო № 3 ღამის 1 ს. და 12 წ.; 3) სამგზავრო № 5 საღამოს 8 ს. და 5 წ.

ბაქოდან გამოდის:

ტფილის ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 მოსკოვიდან (მარტო ხუთშაბათობით) ღამის 1 ს. და 18 წ.; 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. და 51 წ.; 3) სამგზავრო № 5 შუადღის 12 ს. და 1 წ.; 4) საქონ.-სამგზ. დილის 5 ს. და 1 წ.

ბაქოში ჩადის:

ტფილის-ბათუმიდან: 1) საფოსტო № 6 ნაშუადღევის 2 ს. და 18 წ.; 2) სამგზავრო № 6 ღამის 1 ს. და 40 წ.; 3) საქონ,-სამგზ. (ტფილისიდან) № 18 ნაშუადღევის 4 ს. და 53 წ,

მიხაილოვიდან გადის:

ბორჯომისკენ: სამგზავრო. 1) დილის 4 ს. და 3 წ.; 2) დილის 11 ს. და 28 წ.; 3) საღამოს 5 ს. და 23 წ.

სურამისკენ: საქონ.-სამგზ. 1) ღამის 3 ს. და 8 წ.; 2) დილის 4 ს. და 8. წ.; 3) დილის 9 ს. და 43 წ.; 4) დილის 11 ს. და 33 წ,; 5) ნაშუადღევის 3 ს. და 38 წ.; 6) საღამოს 5 ს. და 28 წ.

ბორჯომიდან გამოდის.

მიხაილოვისკენ: სამგზავრო: 1) ღამის 11 და 42 წ.; 2) დილის 8 ს. 12 წ.; 3) ნაშუადღევის 2 ს. და 3 წ.

ბაკურიანისკენ—(ბორჯომის ბაღიდან): სამგზავრო დილის 10 ს. 20 წ.

ბაკურიანიდან გამოდის.

ბორჯომისკენ: სამგზავრო ნაშუადღევის 4 ს. და 18 წ.

სურამიდან გამოდის.

მიხაილოვისკენ: საქონ.-სამგზავრო: 1) ღამის 2 ს. და 31 წ.; 2) ღამის 3 ს. და 28 წ.; 3) დილის 9 ს. და წ.; 4) დილის 10 ს. და 41 წ.; 5) ნაშუადღევის 2 ს. და 51 წ.; 6) ნაშუადღევის 4 ს. და 36 წ.

რიონიდან გადის:

ქუთაისისკენ: სამგზავრო: 1) დილის 5 ს. და 13 წ.; 2) დილის 7 ს. 18 წ.; 3) დილის 11 ს. 03.; 4) ნაშუადღევის 3 ს. 38 წ.; 5) საღამოს 9 ს. 48 წ.; 6) ღამის 11 ს. 13 წ.

ქუთაისიდან გამოდის.

რიონისკენ. სამგზავრო: 1) დილის 4 ს. 33 წ.; 2) დილის 6 ს. 33 წ.; 3) დილის 10 ს. 13 წ.; 4) ნაშუადღევის 2 ს. 53 წ.; 5) საღამოს 8 ს. 58 წ.; 6) ღამის 10 ს. 18 წ.

ტყიბულისკენ: საქ.-სამგზ. ნაშუადღევის 4 ს. 28 წ.

შორაპნიდან გადის.

საჩხერისკენ: სამგზავრო: 1) დილის 6 ს. 56 წ.; 2) ნაშუადღევის 2 ს. 13 წ.

საჩხერედან გამოდის:

შორაპნისკენ: სამგზავრო. 1) დილის 8 ს. 52 წ. 2) ნაშუადღევის 4 ს. 46 წ.

ფოთიდან გამოდის:

სამტრედიისკენ: სამგზავრთ: 1) ნაშუადღევის 2 ს. 11 წ.; 2) დილის 7 ს. 11 წ.; 3) საღამოს 7 ს. 22 წ.

ქუთაისისკენ: დილის 5 ს. 44 წ.

სამტრედიიდან გადის:

ფოთისკენ: სამგზავრო: 1) დილის 9 ს. 58 წ.; 2) დღის 10 ს. 53 წ.; 3) საღამოს 4 ს. 58 წ.

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი,

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა—კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა

თვალის სამკურნალო—კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევა', გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ელეიმანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

საყმაწვილო ჟურნალი
ნაკადული
სურათებით
წელიწადი მეორე. წელიწადი ითვლება ნოემბრიდან ნოემბრამდე.

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, წ.-კ. გ. საზოგადოების კანცელარიაში და მარიამ დემურიას [illegible] (ალექსანდროვის ქუჩა, № 5.

რედაქცია იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილის სახლში, № 8.

დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილები სუფთად და გარკვევით უნდა იყოს დაწერილი.

ჟურნალის ფასი: ერთის ნომრისა 5 შაური, [illegible] 2 მან. 50 კაპ., [illegible] 1 მან. 50 კაპ. [illegible] 25. [illegible]

[illegible] მანეთად.

პირობებში მოსალაპარაკებლად რედაქცია ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакция журнала „НАКАДУЛИ“.

რედაქტორი მარიამ იანის ასული დემურიასი.
გამომცემელი თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.



მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი
„ოდებრინი“ მ. ვ. ლუბენევისა
ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენიმე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მთავრობისაგან დამტკიცებული, პრივილ. № 22473.
იყიდება ტფილისში—[illegible] კავკასიის სავაჭრო ამხანაგობაში და მის განყოფილებაში ბაქოსა და ბათუმში.
(0—6—13).